# საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

ფასი 40 კაპ.

მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 32 სამშაბათი. 3 ენკენისთვე 1918 წ. № 32


ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ნომერში ექვსი გვერდია


მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით **10** მ., ცალკე ნომერი ყველგან **40** კაპ.

სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.

გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის **10—3** საათამდე.

(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.



გულ დათუთქულნი და მწუხარებით აღვსილნი მშობლები ფარნაოზ და ელისაბედი შვილებითურთ: სოფიო, ალექსანდრე, იოსები, ვასილი და ვლადიმერი, რძლებით და შვილი შვილებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 30-ს აგვისტოს ტრაღიკულად გარდაიცვალა საყვარელი, დაუვიწყარი და უძვირფასესი

**ნიკოლოზ (კოლია) ყიფიანი**

წევრი აღმასრულებელ კომიტეტისა. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 8 საათზე ახალ დროთი. ნიკოლოზის ქუჩა, № 50. დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება.



თბილისის ქალაქის მილიციის წევრები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ძვირფას და პატივცემულ ამხანაგის, მე-6 კომისარიატის უფროს მილიციონერის

**ნიკოლოზ ყიფიანის**

30 აგვისტოს ტრაღიკულად გარდაცვალებას. პანაშვიდები დანიშნულია სამშაბათს და ოთხშაბათს საღამოს 8 საათზე მიცვალებულის ბინაზე, ნიკოლოზის ქუჩა, № 50. ცხედარს გამოასვენებენ 5 სექტემბერს 9 საათზე ქაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში. დასაფლავება დიდუბის ეკლესიის გალავანში. 2—1



გაზ. «საქართველოს რესპუბლიკა» პირველ სექტემბრიდან ღირება 50 კ.

«საქართველოს რესპუბლიკის» რედაქტორი ღებულობს რედაქციის საქმეებისთვის მოსალაპარაკებლად 1-ს—დან 2-ს—მდე.



**სიღნაღის მაზრის ერობის შემომღები კომიტეტი**

აცხადებს, რომ მთელს მაზრაში საერობო არჩევნები მოხდება ენკენისთვის 15. სულ ასარჩევია 43 ხმოსანი. მაზრა გაყოფილია ხუთ საარჩევნო უბნად და ამრჩეველთა რაოდენობის მიხედვით ასარჩევია: 1) ქვემო მაჩხაანის რაიონში 17 ხმოსანი; 2) გურჯაანის მხარეს 10 ხმ.; 3) ქოდალოს რაიონში 6 ხმ.; 4) ლაგოდეხის რაიონში 6 ხმ. და 5) ქ. სიღნაღში 4 ხმ. სახმოსნო კანდიდატების სია უნდა წარმოდგენილ იქმნას ქ. სიღნაღში, მაზრის ერობის შემომღებ კომიტეტში არა უგვიანეს ენკენისთვის 5-სა.

5—3 სიღნაღის მაზრის საერობო კომიტეტი.



**ვაჟთა და ქალთა გიმნაზია**

**ნ. გ. თევზაძის**

უფლებიანი, ახალი ტიპის, 8 კლასის კურსი გაივლება 4 წელიწადში.

**ძხენიას ქ., № 11.**

თხოვნება მიიღება ყველა კლასებში. საგნების სწავლება რუსულად. ქართველებისთვის—საქართველოს ისტორია და ლიტერატურა სავალდებულო საგნებია. მეცადინობა საღამოობით. მოწაფეები მიიღებიან განურჩევლად ეროვნებისა და ხნისა მოწმობებით შესაფერ კლასებში, ვისაც მოწმობა არ აქვს—გამოცდით. მეხუთე კლასში გამოუცდელად მიიღებიან ის პირნი, რომლებსაც გათავებული აქვთ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი ან და სხვა შესაფერი კურსის სასწავლებელი. გამოცდები და განმეორებითი გამოცდები—26 აგვ. (ახ. სტილით). კანცელარია გაღებულია საღამოს 4—8 ს. გიმნაზია აძლევს მოწაფეებს უფასო სახელმძღვანელოებს.

50—6 გიმნაზიის გამგე **ს. ნ. შულგინი.**



არსდება ამხანაგობა სახელწოდებით

**«კავკასიის საზოგადოება მანუფაქტურის წარმოებისა»**

ძირითადი თანხა 2,500,000 მან. წევრებათ ჩაწერა და აგრეთვე მიწოდება ყოველივე ცნობებისა ხდება გოლოვინის პროსპექტზე № 10 კანტორა „კომერსანტ“ დილ 9 საათ. ნაშუად. 2 საათ. და საღამოს 6—9 საათამდე. პროვინციებში გაიგზავნება საგანგებო პირი, თუ წინასწარ შესაფერი ცნობა მოვა ტელეგრამით მსურველებიდან. 4—2


## ოფიციალური განყოფილება

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის მიწათ-მოქმედების მინისტრისა.

1918 წ. 27 აგვისტო, ქ. თბილისი.

№ 32.

დ ა თ ხ ო ვ ნ ი ლ ი ქ ნ ა: სამსახურიდან შტატების შემცირების გამო ცენტრალურ სადგილმამულო სამმართველოში დროებით გამოგზანილი საადგილმამულო-საამშენებლო რაზმის საქმის მწარმოებელი ა. ნ. ვ ა რ თ ა ნ ო ვ ი 1918 წ. 1 სექტემბრიდან.

№ 33.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ქ მ ნ ე ნ: ქუთაისის მაზრის ხონის უბნის მიმღები კომისის ყოფილი თავმჯდომარე ვ. გურულიშვილი იმ კომისიის თავმჯდომარედ, რომელიც შემდგარია ქუთაისის გუბერნიის კერძო მემამულეთა საზაფხულო საძოვრების მისაღებად 1918 წ. 26 აგვისტოდან.

კავკასიის ყოფილ საადგილ-მამულო მომწყობ რაზმის ტოპოგრაფი გ. მ. კუხალეიშვილი იმ კომისიის მიწის მზომელად, რომელიც შემდგარია ქუთაისის გუბერნიის კერძო მემამულეთა საზაფხულო საძოვრების მისაღებად 26 აგვისტოდან.

28 აგვისტო 1918 წ.

№ 34.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ქ მ ნ ე ნ: უფროსი მენიხრე ა. ა. ღოევი-სოჭის და გაგრის უბნების ტყეთა მიმღები კომისიის თავმჯდომარედ და ტყის საქმეთა გამგის თანაშემწე პ. ს. კრემინსკიიმავე კომისიაში ტეხნიკად, ორივენი 1918 წლის 27 აგვისტოდან.

ყოფილი ტყის გამგე ფიიქენკო-ცხინვალის რაიონის ტყეთა მიმღებ კომისიის თავმჯდომარედ და ტყის გამგის თანაშემწე ა. ა. ისიჩენკო ამავე კომისიის ტეხნიკოსად, ორივენი 1918 წ. 28 აგვისტოდან.

მ ი წ ა თ-მ ო მ ქ მ ე დ ე ბ ი ს მ ი ნ ი ს ტ რ ი დ. გ. ხ ო მ ე რ ი კ ი.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრისა.

1 სექტემბერი, 1918 წ. ქ. თბილისი.

№ 25.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ქ მ ნ ა: თავისის თხოვნის თანახმად, სოხუმის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგი კონსტანტინე მიხეილის ძე შნეიდერი-თბილისის სასამართლო პალატის წევრად,

იუსტიციის მინისტრი შალვა ა ლ ე ქ ს ი-მ ეს ხ ი შ ვ ი ლ ი.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შინაგან სამინისტროსთან არსებული საექიმო სასანიტარო განყოფილება.

29 მარიამობისთვე, 1918 წ. ქ. თბილისი.

№ 13.

დ ა თ ხ ო ვ ნ ი ლ ი ა თ ა ნ ა მ დ ე ო ბ ი დ ა ნ დ ა ს ა მ ს ა ხ უ რ ი დ ა ნ 29 აგვისტოდან 1918 წ. ეპიდემიური რაზმის ექ. იაკობ მაისეის ძე პლოტკინი მის თხოვნის თანახმად.

საექიმო სასანიტრო საქმის უფროსი მ. ო. ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობისა შინაგან საქმეთა სამინისტროსი.

30 აგვისტო, 1918 წ. ქ. თბილისი.

№ 334.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ქ მ ნ ე ნ: სარაიონო ექიმი ამბროლაურის სოფლის საავადმყოფოსი რაჭის მაზრის, ქუთაისის გუბერნიის, ვასილ პეტრეს ძე წულეისკირი და იმავე გუბერნიის ზუგდიდის მაზრის, წალენჯიხის სასოფლო საავადმყოფოს სარაიონო ექიმი ევსევი გიორგის ძე ლოსაბერიძე—ქუთაისის საგუბერნიო ექიმის თანაშემწეებად: პირველი—საექიმო ნაწილში, მეორე კი—სასოფლო-საექიმოში.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობათა აღმასრულებელი გენ. მ ა ხ ა რ ა ძ ე.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 14.

გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ უ ლ ნ ი ა რ ი ა ნ ს ა მ ს ა ხ უ რ ი დ ა ნ ერთი თვის ვადით ავადმყოფობის გამო, მიხეილის საავადმყოფოს უფროსი ორდინატორი ვირსალაძე, ამავე საავადმყოფოს უნცროსი ორდინატორი აგაჯანოვი და ფოთის საზღვაო საექიმო-სასანიტარო ზედამხედველ სადგურის სანიტარი პეტიურენკო ყველა 30 აგვისტოდან 1918 წ.

საექიმო-სასანიტრო საქმის უფროსი (მ. ო. ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი).

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობისა.

2 მარიამობისთვეს, 1918 წ. ქ.თბილისი.

№

(სამხედრო უწყების მიმართ).

ამ ომის განმავლობაში 1914 წ. № 553 სამხედრო უწყობისადმი მიმართული ბრძანების ცხოვრებაში გატარებამ, მის შესახებ, რომ ჯარის ნაწილებს და სამხედრო უწყების გამგეობათა და დაწესებულებათ ნივთები და მასალა იმ ზომად მისცემოდა, რა ზომადაც ამის ნამდვილი მოთხოვნილება ექნებოდა მათ, და ამ ბრძანების ყოფილი კავკასიის ფრონტის მიმწოდებელი მთავარი უფროსის ამ წლის № 15 ბრძანებით ხელ-ახლად დადასტურებამ ისა ჰქმნა, რომ ჯარის კაცები სახაზინო ნივთების გაყიდვას ფართოდ აწარმოებენ.

ამიტომ ვბრძანებ:

1. ხაზინის საკუთრებად იყოს ცნობილი ჯარის ნაწილებისათვის და სამხედრო გამგეობათა და დაწესებულებათათვის მიცემული ზამთრის და ზაფხულის ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, მოკმაზულობა და თეთრეული (გარდა პერანგისა და მისი ამხანაგისა, რაიცა რაკი ჯარისკაცს მიეცემა, მის საკუთრებად ხდება) და ამიტომ ყველა მიღებული ნივთი, როგორც უკვე მოითხოვება, ჩაიწეროს ჯარის ნაწილების და სამხედრო უწყების გამგეობათა და დაწესებულებათა ნივთეულობის დავთრებში, და იგი ნივთები, მიეცემა რა ჯარის კაცს, მაშინვე იმის სანუსხო წიგნაკში ჩაიწეროს.

2. ნივთეულობისა და მასალის გაცემა მოხდეს ხოლმე მათი ხმარების ვადის შესაფერისად, ისე, როგორც ამასთან დართულლ ტაბულაში არის აღნიშნული.

3. ჯარის ნაწილებმა და სამხედრო უწყების გამგეობათა და დაწესებულებათა დადგენილი მოთხოვნის უწყებით მოითხოვონ ხოლმე მასაზრდოებელ დაწესებულებათაგან მხოლოდ ის ნივთები, რაც კანონით არის დაწესებული და მიმდინარე წელში ჯერ არ მიუღიათ.

4. ჯარისკაცს სათადარიგო ლაშქარში გადარიცხვის დროს ეძლევა ხმარების ვადა შესრულებული ნივთები, სახმარად მაინც გამოსადეგნი, ხოლო რა ნივთებსაც ხმარების ვადა ჯერ არ გასვლიათ, ის ნივთები ჯარშივე უნდა დარჩეს.

5. საინტენდანტო საწყობიდან ნივთებისა და მასალის ფასის გადახდით გაცემა აფიცრებსა და კლასის მოხელეებზედ მთლად მოისპოს.

თან დართულია: ტაბულა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ეს ბრძანება იმ ჯარის ნაწილებსაც შეეხება, რომელნიც განწყობილ (რეგულიარულ) ჯარების ჯგუფში არ შედიან, გარნა ნივთების მიღებით დროებით სარგებლობენ.

ხელმოწერილია: სამხედრო მინისტრი გ ი ო რ გ ა ძ ე.

# ტაბულა

სამხედროთა სახმარი ნივთეულობისა მათი ხმარების ვადის აღნიშვნით.

| ნივთების ხმარების ვადა. | ნივთების დასახელება. |
|---|---|
| | 1. ზამთრის ტანსაცმელი. |
| 2 წელ. | ქუდები (ფურაჟკები) დამფარავი ფერის მაუდისა. |
| 2 წ. | შაზარები მაუდისა. |
| 1 წ. | „ მოლესკინისა. |
| 2 წ. | „ დამფარავი ფერის მაუდისა. |
| 2 წ. | პერანგები მაუდისა სალაშქრო. |
| 1 წ. | „ მოლესკინისა. |
| 1 წ. | შარვალი მაუდისა სალაშქრო. |
| 1 წ. | „ მოლესკინისა. |
| 1 წ. | „ მუქი-მწვანე. |
| 1 წ. | „ რუხი ლურჯი, ცხენოსნისა. |
| | 2. ზაფხულის ტანსაცმელი: |
| 1 წ. | პერანგები ზაფხულისა, სამუშაოთ. |
| 1 წ. | შარვლები. |
| | 3. ფეხსაცმელი. |
| 1 წ. | ჩექმები ტყავისა მოქვეითეთა. |
| 1 წ. | წუღა-ჩექმა (ბოთინკა). |
| | 4. თეთრეული. |
| 1 წ. | პერანგები. |
| 1 წ. | პერანგის-ამხანაგები. |
| 1 წ. | პირსახოცები. |
| 1 წ. | ცხვირსახოცები. |
| 1 წ. | ფეხსახვევები. |
| | 5. აფიცრებისა და ჯარის-კაცების სალაშქრო კარვები: |
| უვადო ( | ვანები სააფიცრო. |
| ( | „ საჯარისკაცო. |
| | 6. მოკაზმულობა მოქვეითეთა: |
| 10 წ. | ყაწიმი სამხარიღლივე თეთრი მოკრიალე ტყავისა. |
| 10 წ. | ქამრების თასმა. |
| 6 წ. | პაგონების თასმა თეთრი ხამი მოქნილი ტყავისა. |
| 4 წ. | თოფებისა. |
| 6 წ. | ნივთების პარკები. |
| | მასთან პარკები: |
| 6 წ. ( | გარეთი. |
| ( | შიგნითი. |
| 12 წ. | ჩანთა პატრონებისა მოქვეითეთა. |
| 6 წ. | მკერდის სასწრაფო (პატრანტაში). |
| ( | სათილი სამარტოე. (კატელოკ) |
| უვადო ( | სასმისი (კრუჟკა) |
| 6 წ. | რევოლვერის ბუდეები. |
| 2 წ. | ზონრები. |
| 10 წ. | ხალთა-გუდა პარუსინისა. |
| | მასთან: |
| 4 წ. | ორცხობილას პარკი. |
| | სასანგრე თანსატარებელი იარაღისთვის: |
| 12 წ. | ლინემანის ნიჩბების პერანგები. |
| 12 წ. | ცულების ნახევაპერანგები. |
| 12 წ. | ცულის თასმები. |
| | 7. მოკაზმულობა მოქვეითეთა ანუ ცხენოსანთა. |
| ( | სათილები თუნუქისა. |
| უვადო ( | Фლიაგები. |
| ( | Фლიაგები ალლუმინისა. |
| 6 წ. | მასთან პერანგი გაწყობილებით. |
| 6 წ. | საყვირი სანიშნო „С." კილოსი. |
| 8 წ. | საიმისო თასმა. |
| ( | საყვირესი სანიშნო „Д." კილოსი. |
| უვადო ( | მ სი ბალთა (თუ საიმისო). |
| 10 წ. | ყაწიმი მხარიღლივი. |
| 10 წ. | საქამრო თასმები. (თუ ქამრის). |
| 12 წ. | ჩანთები პატრონებისა ქამარზედ მისაბმელი. |
| 4 წ. | ყაზახების თოფის თასმები. |
| 12 წ. | ლინემანის ნიჩბის პერანგები. |
| უვადო | დოლები ყვითელი სპილენძისა, ჯოხებით. |
| 8 წ. | მხარიღლივ თასმა ჯოხების ბუდეებითა. |
| | 9. სათბილობელი ნივთები: |
| | ა) თავის სამკაული: |
| 6 წ. | ყაბალახები. |
| 3 წ. | ფაფახები. |
| | ბ) ზედა-ტანისამოსი: |
| 3 წ. | მოკლე ქურქი (ყაპუჭი). |
| 2 წ. | დაბამბული კურტაკი. |
| 2 წ. | დაბამბული სათბუნებელი. |
| 2 წ. | ბოშლატი (ნაბდის სათბილობელი). |
| 1 წ. | დაბამბული შარვალი. |
| | გ) თბილი თეთრეული: |
| 1 წ. | თბილი ნიფხვები. |
| 1 წ. | თბილი პერანგები (ფუფაიკები). |
| | დ) თბილი საგნები ხელებისთვის: |
| 1 წ. | მაუდის თათმანები (უთითებო). |
| 1 წ. | მატყლის ხელჯაგები. |
| 1 წ. | მატყლის თათმანები. |
| | ე) თბილი საგნები ფეხებისთვის: |
| 1 წ. | მაუდის ფეხსახვევები. |
| 1 წ. | ბაწრის წინდები და ჩულქები. |
| | ვ) თბილი ფეხსაცმელი: |
| 1 წ. | მოთელილი წაღები (ვალენკი). |
| 1 წ. | ნაბდის წაღები. |
| | ლოგინის თეთრეული: |
| 1 წ. | ნაალის პირი. |
| 1 წ. | ბალიშის პირი. |
| 1 წ. | ბალიშის საური. |
| 1 წ. | ზეწარი. |
| 1 წ. | საბანი. |

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ლითონის ყველა ნივთი, სახელდობრ: ბალთები, თასმის აბზინდები, სათლი, ფლიაგები, სასმისები ან სხვა საგნები, დანაკლისის შესაკეთებლად და შესავსებად ყოველ წლიურად ფული არის გადადებული.

ნამდვილი ხელმოწერილია: მომარაგეობის უფროსი გენერალ-მაიორი ბენაშვილი, საინტენდანტო ნაწილის უფროსი გენერალ-მაიორი ყიფშიძე და განყოფილების გამგე სტატ. სოვეტ. ბალუაშვილი.

## ა მ ო ნ ა წ ე რ ი

თბილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულებათა წიგნიდან 1918 წ. 30 აგვისტო.

№ 105.

საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოს გაეროვნებისა გამო, დათხოვნილნი არიან სამსახურიდან 1918 წ. 1 სექტემბრიდან: თბილისის ოლქის სასამართლოს მდივანი ვლადიმერ ივანეს ძე ტკაჩოვი, ამავე სასამართლოს მდივნის თანაშემწენი: ევგენი ემელიანის ძე ბეკარევიჩი, ალექსი პართენის ძე გაპეენოვი, ნიკოლოზ ვასილის ძე გრაური, ანდრია იაკობის ძე კოზეიკო, ნიკოლოზ ივანეს ძე პუტოვი და ფილიპე გერასიმეს ძე პეტლიაკოვი. კანცელარიის მოსამსახურენი: სისხლის სამართლის I განყოფილებისა: მარიამ ვალერიანის ასული კოროლენკო, ალექსანდრა ივანეს ასული ტრუნოვა, მარიამ პავლეს ასული მიშლიაევა და ზოია ნიკოლოზის ასული წოვიანოვისა; სისხლის სამართლის II განყოფილების: ოლღა ვასილის ასული ერემეევა, ზულეიკა-ხანუმ თალიშხანოვი და ალექსანდრა ანტონის ასული გაიკოვიჩი; II სამოქალაქო განყოფილებისა: ელისაბედ ლეონიდეს ასული ფედორენკო, აიკო სერგის ასული ავალოვა, ბარბარე გენადის ასული ლიაპუნოვი, ნადეჟდა ედუარდის ასული კუნკევიჩი და რაისა ალექსანდრეს ასული მურავლიოვა; სასამართლოს თავმჯდომარის კანცელარიისა—ვალენტინა ვლადიმერის ასული ზოტოვა და I სისხლის სამართლის განყოფილებისა: ლიუდმილა ანატოლის ასული სურხანოვა, ოლქის სასამართლოს მოენე ნიკოლოზ განჯუმის ძე აბალოვი და ამავე სასამართლოს გზირები: მიხეილ ივანეს ძე ავნატამოვი, ალექსი დენისის ძე მუხინი და დანიელ ეგნატეს ძე კლიმიკი, სალიკვიდაციო ფულის მიცემით, ეროვნულ საბჭოს 1918 წლის 3 ივლისის დადგენილების თანახმად.

სასამართლოს თავმჯდომარე პ. კ ი ზ ი რ ი ა.

## არა ოფიციალური განყოფილება.

თბილისი, 3 ენკენისთვე.

რუსეთიდან შემაშფოთებელი ამბები მოდის. პოლიტიკური ტატნობი თანდათან იღრუბლება, ატმოსფერა მძიმდება და დღეს თუ ხვალ საბედისწერო და გადამატრიალებელი ჰექა-ქუხილი ატყდება.

პოლიტიკური ტერორი უფრო და უფრო ვრცელდება. გუშინ თუ მირბახი ბოჭკლეს მემარცხენე ესერებმა და მით მოიწადინეს გერმანიის საწინააღმდეგო მოძრაობის გამოწვევა და ბალშევიკების ბატონობის დაცემა, დღეს მემარჯვენე ესერებმაც მოჰკიდეს იარაღს ხელი და ბალშევიკების მთავრობის თავმჯდომარეს მოუნდომეს მოკვლა. ლენინი დასჭრეს.

როგორი აზრისაც უნდა ვიყოთ ინდივიდუალური ტერორის უარყოფითი მნიშვნელობის შესახებ, რუსეთის დღევანდელ პირობებში მისი გახშირება ბოლშევიკური ძალა-უფლების წარმომადგენლების წინააღმდეგ მომასწავებელია მხოლოდ იმის, რომ გადამწყვეტი კრიზისი ახლოვდება და ბალშევიკურ მთავრობას ეცლება ნიადაგი თავის უპასუხისმგებლო და დამრღვეველი ბატონობის გასაგრძელებლათ.

მთავრობის მასიური ტერორი საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული იწვევს ტერორსვე საზოგადოების წრეების მხრივ.

ვერავინ ვერ იბატონებს დიდხანს, განსაკუთრებით ასეთ ხანაში, ხალხის ნება-სურვილების წინააღმდეგ, და აი სწორეთ ეს ხალხი თანდათან გამოდის ბალშევიკური მორჩილებიდან, დემოკრატიული მასა გონს მოდის, რუსეთის საზოგადოების ყველა კლასი და წოდება, ყველა პარტია თუ მიმართულება უკმაყოფილოა ბალშევიკების, უარყოფს მათ დიქტატურას. და თუ ამ უკმაყოფილებას მასიურათ და საყოველთაოდ ჯერ კიდევ არ გადმოუხეთქავს, ამის მთავარი მიზეზია ის მატერიალური ძალა, ის

სარგებლობს ბალშევიკური ძალა-უფლება თავის მოწინააღმდეგებთან ბრძოლაში.

ბალშევიზმი ბრძანებლობს, შლის, არღვევს, ჰკლავს, სდევნის, ებრძვის ქვეყნის „წარმომადგენლობის-დამფუძნებელ კრებას არა იმიტომ რომ ხალხის უმეტესობა მის მხარეზეა, არამედ იმიტომ რომ მის ხელში აღმოჩნდა მატერიალური, შეიარაღებული ძალა, ხიშტი, რომლის მეოხებით ის ცდილობს მავნე უტოპიური პლანები განახორციელოს და მონობაში დასტოვოს მთელი რუსეთი, მთელი დემოკრატია. მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ხიშტით შეიძლება ბილოთ ქვეყანა, ხოლო ხიშტზე დაჯდომა კი შეუძლებელია.

ბალშევიკებმა უკვე გამოაცხადეს, რომ „სოციალისტური სამშობლო განსაცდელშია". რაღა თქმა უნდა არავითარ სოციალისტურ სამშობლოს რუსეთი არ წარმოადგენს; დღეს ის ყოველგვარ საშინებლის ჰურჰელია.

და თუ ვინმეა განსაცდელში ეს ერთი მხრით, თვით ბალშევიკური ძალა-უფლება, რომლის წინააღმდეგ „შეთქმულობისთვის" ემზადება ხალხი. ტყვილა ფიქრობენ ბალშევიკები ყველა თავის მოწინააღმდეგის კონტრ რევოლიუციონერად გამოცხადებას.

არც ის უშველის მათ წამხდარ საქმეს, რომ ყველა შინაურის წინააღმდეგ მასიური ტერორი აამუშაონ. ცხადია, ლენინის მოკვლის განზრახვა კიდევ უფრო გააცოფებს „საბჭოთა რესპუბლიკის" დამცველთ. აკი ისინი იმუქრებიან: ძრწოდეთ, ქვას ქვაზე აღარ დავტოვებთო. მოითხოვენ „პროლეტარიატის ხასტიკ დიქტატურას ბურჟუაზიაზე". მაგრამ რაღას უშვრებიან გლეხობას და იმ დემოკრატიას, რომელიც არ თანაუგრძნობს ბალშევიკებს?.

მეორე მხრით უკიდურეს განსაცდელშია ჩავარდნილი რუსეთი როგორც ხალხი, როგორც საზოგადოება და სახელმწიფო.

ბალშევიკურმა ბატონობამ ის დაამცირა, დაამდაბლა და დააკარგვინა თავისუფლება და რევოლიუციის ყველა მონაპოვარი.

გვჯერა, რომ რუსეთი საღათს ძილს თავს წაართმევს, ბალშევიკურ უღელს მოიხსნის.

მაგრამ ის ველარ შესძლებს ბალშევიზმის ნაცვლათ ნამდვილი დემოკრატიული წყობილება დაიმკვიდროს და შინაურ თუ გარეშე ძალთა მეოხებით იძულებული იქნება სანახევროთ მაინც ძველი წესები აღადგინოს თავის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. ამაში მდგომარეობს რუსეთის და მისი დემოკრატიის უდიდესი ტრაღედია.

ეს ტრაღედია რუსეთის დემოკრატიის ჩვენ ძალიან კარგათ გვესმის. ჩვენ არ გვინდა დავუშვათ, რომ დიდი რევოლიუციდან რუსეთის ხალხს აღარაფერი აღარ დარჩება.

მოწინავე გაცნობიერებული დემოკრატიის წესების დანიშნულებაა ხელი შეუწყონ ფართო მასის გამოფხიზლებას და სახელმწიფოს თავის მოყრის დროს მთელ თავის ძალ-ღონით შეეცადონ რევოლიუციის მიერ აღიარებულ დემოკრატიულ უფლებათა შენარჩუნებას.

რაც შეეხება საქართველოს დემოკრატიას, ის და რუსეთი სახელმწიფოებრივად უკვე გაშორდნენ ერთი ერთმანეთს, რომ შეიძლებოდეს რაიმე პირდაპირ პოლიტიკურ დახმარებაზე ლაპარაკი.

ჩვენ სხვა და სხვა სახემწიფოებრივ სარბიელზე მოვხვდით. სხვა და სხვა საერთაშორისო გავლენათა სფეროში ამოვყავით თავი. სხვა და სხვა ორიენტაციას მივყვებით. ასე ინება ისტორიამ.

ხოლო რამდენადაც ჩვენს საერთაშორისო ურთიერთობაში შესაძლებელი და წარმოსადგენია დახმარება, საქართველოს დემოკრატიას ეს შეუძლია მოიმოქმედოს მხოლოდ და მარტოოდენ

უკიდებლობის და დემოკრატიული რესპუბლიკის დაცვით; საკუთარი თავისუფლების შენარჩუნებით და რევოლიუციის ყველა მონაპოვარის განმტკიცებით.

## კიდევ ჭორები.

ცხადზე უცხადესია, რომ აქედან პირდაპირ პროვოკაციულს და ყალბ ცნობებს აწვდიან სხვა და სხვა სახელმწიფოებს ჩვენი შინაური მდგომარეობის შესახებ.

ბერლინში ათასნაირი ჭორები ვრცელდება ჩვენ შესახებ, ისეთი ჭორები, რომელიც ჯერ აქ ითხზვება ჩვენი მტრების მიერ და მერე მიგორავს ისეთ ადგილებში, სადაც საქართველოს დამოუკიდებლობის ვითამ გაბათილებით და ჩვენი რესპუბლიკის ავად ხსენებით სურთ შეიძინონ თავის „პოლიტიკური კაპიტალი".

რუსეთში ხომ საზღაპრო ამბებს ავრცელებენ საქართველოს შესახებ. რაც საზიზღრობა თვითონ აქვსთ თავის „სოციალისტურ სამშობლოში", მას ბალშევიკები ჩვენს რესპუბლიკას და დემოკრატიას აწერენ და ამ ნაირად ცდილობენ ჩვენს დამდაბლებას რუსეთის ხალხის და დემოკრატიის თვალში.

მაგრამ ამაოდ. ტყუილს ყოველთვის მოკლე ფეხები აბია.

აკი გამოიგონეს და მოჭორეს პეტროგრად-მოსკოვის ბალშევიკებმა ლუნაჩარსკის მეთაურობით რომ აქ, ჩვენს თბილისში, გოლოვინის პროსპექტზე ვითამ მრავალი საღრჩობელა ყოფილიყოს გამართული ბალშევიკების და სხვების დასასჯელად.

მალე გამოაშკარავდა, რომ ეს ყოვლად საზიზღარი, მტრობის მიერ შეთითხნილი სამარცხვინო ჭორია, რომ საერთოდ საქართველოში და კერძოდ თბილისში გაცილებით მეტი წეს რიგი, მეტი თავისუფლება და მშვიდობიანობაა, ვინემ „საბჭოთა" ანარქიულ რუსეთში.

მაგრამ შეცდომის გასწორების და ჭორის უარყოფის ნაცვლად ბალშევიკურ-შავრაზმული და ბურჟუაზიული ყვითელი პრესა განგრძობს თავის შავბნელ საქმეს. მოყიდული აგენტები და პროვაკატორები ახლა კიდევ ავრცელებენ თავის გემოზე შეხანხნულ ჭორებს—ვითომ აქ რუსებს სდევნიდენ, ატუსაღებდენ, ოფიცრებს შიმშილით ჰკლავდნენ, რუსულათ არ ალაპარაკებენ და სხ.

ამას მჭერმეტყველურათ მოწმობს პეტროგრადის ქართველობის ხმა, რომელმაც მოაღწია ჩვენი მთავრობის ყურამდე და რომელიც ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში იბეჭდება.

ზედმეტია იმაზე ბევრი ლაპარაკი, რომ პეტროგრადში გავრცელებული ხმები ჭორია და არავითარი კავშირი არ აქვს სინამდვილესთან.

საქართველოს რესპუბლიკაში რუსებს, რუს ოფიცრებს არავინ სდევნის, არც ლაპარაკს უშლიან მათ. რესპუბლიკა თუ ვისმე ებრძვის მხოლოდ თავის მტერს და მოღალატეს, შეთქმულების მოთავეთ და კონტრ-რევოლიუციონერთ ვინც უნდა იყვენ ისინი განურჩევლათ ეროვნებისა. ეს ყველამ ძალიან კარგად იცის. მაგრამ თუ მაინც სიყალბეს ავრცელებენ, ამას შვრებიან განგებ, რომ სახელი გაუტეხონ ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

როგორ ბედავენ ბალშევიკები და რუსის ხულიგნები ჩვენი რესპუბლიკის შესახებ კრინტის დაძვრას, როდესაც თვითონ არიან უგუნური სისასტიკის და ველური ძალადობის წარმომადგენელნი! არმავირის გასისხლიანებულ გმირებს როგორ შეუძლიათ ხმა ამოიღონ საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ, ავად ახსენონ საქართველო, სადაც შედარებით წესიერება და მშვიდობიანობაა გამეფებული და ყველა მცხოვრების სიცოცხლე და ქონება უზრუნველყოფილია. ამაზე იტყვიან—გალმა გაედავე, გამოღმა დაგრჩებაო.

სირცხვილი პოლიტიკურ მატყუარებს!

## ადგილობრივი თვითმართველობა-ერობა.

I

ჩვეულებრივ, ცნება თვითმართველობა ადგილობრივი სახელმწიფოს რომელიმე კუთხის, განსაზღვრულ მისი ნაწილის მართვა გამგეობის სახის, ფორმის გამომხატველათ მიაჩნიათ. ეს ძველი პოლიტიკურ, აბსოლიუტურ მონარქიის დროს ნაანდერძევი შემეცნებაა, რადგან ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში უაღრესათ ცენტრალისტურ მართვა გამგეობასთან ერთად მარტო წვრილ ადგილობრივ ერთეულებს ჰქონიათ თვითმართველობის უფლება მინიჭებული. რესპუბლიკანურ დემოკრატიულ სახელმწიფოში კი თვითმართველობა მთელი სახელმწიფოს მართვა გამგეობის სისტემაა, საფუძველია. ამნაირ წესწყობილებაში მთელი ხალხი, სახელმწიფოს ყველა მოქალაქეები თვითმართ-

ადვილებლათ, მიზან-შეწონილ უკეთ მოსაწყობათ. სახელმწიფოს ტერიტორია დიდ თუ პატარა ნაწილებათ იყოფა. ამ ნაწილების ფარგალში, ამ ტერიტორიალურ ერთეულებში მთელი სახელმწიფოებრივ მართვა გამგეობას, რასაკვირველია, შესაფერ მასშტაბით, სახელმწიფო ადგილობრივ მცხოვრებლებს ავალებს. ასე რომ სიტყვა „თვითმართველობას“ უთუოდ თავში უნდა მიემატოს „ადგილობრივი“, რო მივიღოთ ის ცნება, რომელსაც თვითმართველობას აწერენ.

ადგილობრივი თვითმართველობის ასახსნელათ რამოდენიმე თეორიები არსებობს იმისდა მიხედვით, თუ რა და რა ხასიათის საქმეები უნა ჰქონდეს თვითმართველობას სახელმწიფოს მიერ დაკისრებული. ადგილობრივი თვითმარრველობა მარტოთ მარტო სამეურნეო საქმეებს განაგებს, ფიქრობენ ერთნი. იგი მცხოვრებლების ეკონომიურ აღორძინებას ხელს უწყობს, შველის მათ, რო ტეხნიკურათ მაღალ დონეზე დააყენოს სამეურნეო-სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულება; აწვდის სხვა და სხვა სამეურნეო იარაღს და სხვა. ეს ეგრეთ წოდებული სამეურნეო თეორიაა. (Хозяйственная теорія).

ეს შეხედულება თვითმართველობის დიდად შემავიწროებელია; ხალხს თვითმოქმედების, ინიციატივის გამოჩენის ნებას არ აძლევს; ეს თეორია დემოკრატიის ინტერესებს არ ეგუება. იგი აბსოლიუტურ სახელმწიფოს ნაკარნახევი იდეოლოგიაა. როდესაც ცენტრალისტურ მართვა-გამგეობის თვითმპყრობელობის ხანაში აქა იქ ადგილობრივი თვითმართველობები, ერობის სახით, გაჩდნენ, მართველი წრეები ერობის ვიწრო კალაპოტში ჩაყენებას, მის შებოჭვას ცდილობდნენ. ეშინოდათ ადგილობრივ თვითმართველობას ფრთა არ გაეშალა, მნიშვნელობა არ მოეპოვა და აი ამისათვის ერობას ვიწრო სამეურნეო-ეკონომიური კუნჭული მიუჩინეს.

ზოგნი კი თვითმართველობას ყველა ადგილობრივი ხასიათის საქმეების გაკეთებას აკისრებენ. მათის ფიქრით, ადგილობრივმა თვითმართველობამ ყველა იმ საქმეს უნდა მოუაროს, რომელსაც კუთხური ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს. (Общественная теорія). ეს აზრიც შემცდარია. არ არის ისეთი საგანი, რომელსაც ერთ და იმავე დროს, როგორც ადგილობრივი, ისე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა არ ჰქონდეს. ავიღოთ, მაგალითად, საშინელი სენი, ხოლერა. მასთან ბრძოლას რომელიმე ცენტრიდან დაშორებულ სოფლისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, როდესაც იგი ეწვევა მას, მაგრამ ამას არც სახელმწიფოსთვის აქვს ნაკლები მნიშვნელობა, რადგან ხოლერა სოფლიდან სოფელზე შეიძლება გადავიდეს და მთელ სახელმწიფოსაც მოედოს. აგრეთვე ადგილობრივ თვითმართველობის მიერ გზის გაყვანა, სწავლა-განათლების გავრცელება და სხვას ისეთი მჭიდრო კავშირი აქვს სახელმწიფოს მისწრაფება-მდგომარეობასთან, რომ შეუძლებელია ამ საქმეებს მხოლოდ და მხოლოდ კუთხური, ადგილობრივი ხასიათი მივცეთ. ამ პრინციპით ხელმძღვანელობა არ შეგვიძლია კიდევ იმიტომ, რომ სხვა და სხვა სახელმწიფოში და სხვა და სხვა დროს ერთი და იგივე საქმეები ხან ადგილობრივი თვითმართველობის ხელშია, ხან კი ცენტრალურ მართველობის, ისე რომ ეს თეორიაც უკუსაგდებელია. დარჩა მესამე სახელმწიფოებრივი (государственная) თეორია. ჩვენ ზემოთ უკვე ვთქვით, რომ სახელმწიფოს მართვა-გამგეობის გასაადვილებლად და გასაუმჯობესებლად, მას რამოდენიმე ნაწილათ დაყოფენ ხოლმე და მართვა-გამგეობას განსაზღვრულ ტერიტორიის ფარგლებში ადგილობრივ მცხოვრებლებს ავალებენ. ასე რომ ადგილობრივი თვითმართველობა იგივე სახელმწიფოებრივი ხასიათის მართვა-გამგეობას ეწევა, მას ეკისრება თავის სფეროში ყველა ის საქმეები, რასაც უმაღლესი ორგანოები აკეთებენ, გარდა მცირე გამონაკლისისა. აი ეს შეხედულებაა მისაღები და დემოკრატიის ინტერესებს შეეფერება. სხვა მოსაზრებას რომ თავი დავანებოთ, ამნაირი ადგილობრივი თვითმართველობა პოლიტიკურ სკოლის როლს ითამაშებს, ამ თვითმართველობის სკოლას გავლილნი მოქალაქეები მეტს მომზადება გამოცდილებას გამოიჩენენ სახელ[illegible] მართვა-გამგეობაში, მის აღმშენებლო-[illegible]

[illegible]ვ თვითმართველობის საკითხში [illegible] შემადგენლობა, კომპეტენცია და ცენტ[illegible] თვითმართველობასთან დამოკიდებულებას [illegible] ყურადღება.

[illegible] გამონაკლისით თვითმართველობის შემადგენლო[illegible] მთელი სახელმწიფოს წესწყობილებასთან [illegible] დაკავშირებული. დემოკრატიულ რესპუბლიკანურ სახელმწიფოში თვითმართველო[illegible] შემადგენლობაც ხალხოსნური, დემოკრატიულია. ყველა სრულწლოვან მოქალაქეს განურჩევლად ეროვნებისა, სქესისა და სოციალურ მდგომარეობისა არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს მოპოვებული.

თვითმართველობის ორგანოების კომპეტენცია სამოქმედო ასპარეზი დემოკრატიულ წესწყობილებაში დიდი და ფართეა. აქ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ რადგან თვითმართველობა-ერობის კონპეტენციაში წესიერება-მყუდროების და მოქალაქეების უშიშროების დაცვაც შედის, მილიცია-კომისრები თვითმართველობის ორგანოების მიერ უნდა ირჩეოდნენ და მათ წინაშე პასუხის მგებელნიც იყვნენ. ცენტრალ მთავრობის ჩარევას ამ საქმეში არ უნდა ჰქონდეს ადგილი. (ამ პრინციპს, რასაკვირელია, სახელმწიფო ცხოვრების ნორმალურ მიმდინარეობის დროს აქვს ადგილი და არა ჩვენს აბობოქრებულ ხანას).

# პრესის მიმოხილვა.

„აშხატავორ“-ი ეხება ლტოლვილთა მდგომარეობას და დიდ უკმაყოფილობას გამოსთქვამს საქართველოს მთავრობის მიმართ.

საქართველოს სოციალისტური მთავრობა, რომელიც რევოლიუციის და თავისუფლების სახელით ლაპარაკობს, აიძულებს ლტოლვილებს გადიტანონ გამოუთქმელი ტანჯვა ვაება.

„აშხატავორ“-ის სიბეცე იქამდის აღწევს, რომ ალაზნის ველზე გაშლილ სომეხ ლტოლვილთა მდგომარეობას ადარებს მესოპოტამიის მხურვალ უდაბნოში გარეკილ სომეხ ლტოლვილების მდგომარეობას და მათში გარჩევასაც ვერ ხედავს.

რა უყოთ, ეს „აშხატავორ“-ის ნებაა. შეუძლიან ჩვენი არავითარი სიკეთე არ დაინახოს. იქნებ შეპყრობილია ისეთის ნაკლით, რის გამოც მაღლა ვერ აუხედნია და ავი და კარგი ვერ გაურჩევია. კიდევ კარგი, რომ როგორც სწერს: „ერთობის“ კორესპონდენტი, თვით კახეთში ცხოვრობენ სომხები, რომელთა გონიერი ნაწილი კარგად ხედავს ლტოლვილთა მიერ გამოწვეულ საფრთხეს.

აი რას სწერს ის:

დაიწყო კახეთ-ქიზიყში ლტოლვილთა შემოსევა, რომელთაც შემოიტანეს ხოლერა და სხვა ავათმყოფობანი, შიშველ-ტიტველ გამოქცეულებს შემოჰყვენ სპეკულიანტები ყალბი ფულებით, ასწიეს პურის ფასი წარმოუდგენელ სიმაღლემდე. ჩარჩებმა მოინდომეს საკუთარი ბუდის მოწყობა, მამულების შეძენა და სხვა და სხვა, ეს ტკბილი მეზობლური ურთიერთობაც თანდათან ჰქრება...

ამ საფრთხეს კარგად ხედავენ ადგილობრივი გონიერი ნაწილი სომხობისა და ამის გამო ქართველებთან ერთად ისინიც მოითხოვენ, რომ, რაც შეიძლება მალე იქნას გაყვანილი კახეთ-ქიზიყში შემოხიზნული სომხები, რათა ძმური ურთიერთობა ქართველ-სომეხთა შორის არ დაირღვეს,

ამიტომ აუცილებლად საჭიროა არარატის რესპუბლიკის მთავრობამ მალე გამოუძებნოს სომხეთში შესაფერი ადგილი და გაიყვანოს საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან ლტოლვილი სომხობა.

* * *

სომხის ერი ახალ საფრთხის წინაშე სდგას. როგორც იუწყებიან, ენვერ-ფაშას ორჯერ განუცხადებია ფონ-ლოსსოვისთვის, რომ მას განზრახული აქვს ერევნის დაპყრობა, თუ სომხის ბრბოები კვლავ წინააღმდეგობას გაუწევენ ერევნის რკინის გზით მიმავალ ოსმალეთის ჯარებს. ამ საფრთხეს ეხება „კავკაზსკოე სლოვო“. მას ენვერ-ფაშას მიერ მოყვანილი მოტივები მიაჩნია ზოგიერთ სამხედრო უფროსების არა კეთილ სინდისიერად გადაცემულ ცნობად და დასძენს, რომ

„სომხის ერს ამ ჟამად მაგიერის გადახდა კი არ სწყურიან, არამედ ზავი და მშვიდობიანი მუშაობა საარსებოდ და საამშენებლო საქმისათვის“.

„სლოვო“ იმედს გამოსთქვამს, რომ ამაში დარწმუნდებიან ერევანში გამგზავრებულნი, გენერალი ფონ-კრესსი და ავსტრია-უნგრეთისა და ოსმალეთის წარმომადგენლები და მართალ საქმეს მხარს დაუჭერენ. შემდეგში ასეთ ბრალდებების თავიდან ასაცილებლად „კავკ. სლოვოს“ სასურველად მიაჩნია, რომ

„ადგილობრივ, სადაც იტანჯვის სომხის ერი, გაიგზავნოს საერთაშორისო თვალყურის მდევნელი ორგანიზაციები, რომლებშიაც შევლენ ოთხთა კავშირის ოთხივ სახელმწიფოს და ამიერ-კავკასიის სამ რესპუბლიკის წარმომადგენლები. მათ ექნებათ მფარველობითი, შემარიგებლობითი და გამომძიებლობითი ფუნქციები. მათ უმაღლეს ინსტანციასაც საერთაშორისო ხასიათი უნდა ჰქონდეს. ჩვენ მოხარულნი ვიქნებოდით თუ ამ ინსტანციას ბერლინში დავინახავდით“.

* * *

ჩვენი გაზეთის № 24-ში ბაქოს საკითხის შესახებ გამოვსთქვით ჩვენი აზრი, მაგრამ თბილისში თავმოყრილ უპარტიო ლიტერატურულ ინვალიდების რუსული ორგანო „ედინენიეს“ ის არ მოსწონებია. იგი სწერს:

ამიერიდან კასპიის ბასეინი ინგლისის ხელშია. ეს მის პროგრამაში შედიოდა და და ამას კიდეც მიაღწია. მაგრამ საიდან გამოიყვანა ოფიციალურმა გაზეთმა ის დასკვნა, რომ ინგლისი დასავლეთისკენ წამოიწევს, შემოიჭრება ამიერ-კავკასიის გულში, აიღებს თბილისს და სამკვდრო ომს გამოუცხადებს გერმანიას.

ყველა ეს ჭორებია, მოცლილთათვის გასართობი“.

„ედინენიეს“ ვურჩევდით ჭორები უპარტიოთა უბანში მოიკითხოს. ხოლო ჩვენ გვსურს ორიოდე სიტყვა მოვახსენოთ უილაჯო გაზეთის იმ უილაჯო მეთაურს, რომელიც ჩვენ „გამოუცდელობას“ გვიკიჟინებს.

ნუ თუ შესაძლებელია ისეთი მდგომარეობის წარმოდგენა რომ ინგლისი თან და თან მაგრდებოდეს კასპიის ბასეინში, იჭერდეს სამხრეთ სპარსეთიდან ენზელისა და თეირანისკენ მომავალ თითქმის ყველა გზებს, ხოლო გერმანია თავს უყრიდეს თავის ძალებს თბილისში და ეს ხდებოდეს დაუსრულებლივ? ნუ თუ ვერ წარმოუდგენია, რომ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გასტანს და რომ მოსალოდნელია დიდი სამხედრო ცვლილება? და აი ჩვენ ვსწერდით რომ

ამიერ-კავკასიას არ ასცდება სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკება ორ კოალიციის შორის.

მაგრამ საკითხია, ვინ დაიწყებს [illegible] მოსალოდნელ შეტევას, ინგლისი თუ გერმანია?

შეუძლებელია ორივე ძალამ იბატონოს ამიერ-კავკასიაში. ინგლისი ცდილობს დაიკავოს ისეთი ადგილები, რომელიც განამტკიცებს მის ძლიერებას და გერმანიას აიძულებს გუდა-ნაბადი აიკრას აქედან. გერმანია თავის მხრით დაინტერესებულია წინააღმდეგში. მან უნდა დაამარცხოს მტერი არა მარტო დასავლეთის ველებზე და ზღვაზე, არამედ აქაც, კავკასიაშიც, და ამნაირათ გაიკაფოს გზა აზიაში. მაგრამ ამ ინტერესთა შეტაკების და მათი საერთაშორისო მნიშვნელობის სრულიად არაფერი გაეგება გაზეთ „ედინენიეს“. მან ეს არ იცის და ჰგონია მიტროფანუშკასავით, რაც მან არ იცის ყველაფერი ჭორიაო. ბაქოში რომ უზრუნველყოფილი იყოს ინგლისი, გერმანია არ უნდა იყოს ამიერ-კავკასიაში. მით უფრო როგორც თვითონ „ედინენიე“ ამბობს, თუ ამიერ კავკასიაში მდგომარეობის ყველა უპირატესობა გერმანიის მხარეზეა, რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ ის ინგლისს საშუალებას მისცემს ბაქოს რაიონში გამაგრებისათვის. „ედინენიე“ დაბნეულა, ეს არც არის გასაკვირველი.

# ეროვნული საბჭო

**სამშაბათი, მარიამობისთვის 6. სხდომა მე-27-ე. თბილისი, ხასახლე.**

თავმჯდომარეობს საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ექვ. თაყაიშვილი.

პრეზიდიუმში არიან: თავმჯდომარის მეორე ამხანაგი იეს. ბარათაშვილი და მდივნის ამხ. ი. აბაკელია.

კრება იხსნება 12 ს. და 30 წ.

თავმჯდომარე. გთხოვთ დაბრძანდეთ. ეროვნული საბჭოს კრება გახსნილი გახლავთ. მდივანი მოგახსენებთ საქმეთა წესრიგს.

ი. აბაკელია. (მდ. ამხ. კითხულობს.) სია კომისიებში გადასაცემ კანონ-პროექტებისა.

პირველი. ფინანსთა მინისტრის კანონ-პროექტი სათამბაქო წესდების შეცვლის შესახებ.

გადაეცეს საფინანსო კომისიას.

მეორე. განათლების მინისტრის კანონ-პროექტი თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტისათვის 1960 მანეთის მიცემის შესახებ ზაფხულში სასწავლებლის გაგრძელებისათვის.

გადაეცეს განათლების და საფინანსო კომისიას.

მესამე. მისივე კანონ-პროექტი სამასწავლებლო ინსტიტუტის და სემინარიების გაეროვნების შესახებ

გადაეცეს განათლების და საფინანსო კომისიას.

მეოთხე. მისივე კანონ-პროექტი „განათლების“ საზოგადოების თამარ მეფის სახელობის ქალთა საოსტატო სემინარიის მთავრობის გამგეობაში მიღების შესახებ.

გადაეცეს განათლების საფინანსო კომისიას.

მეხუთე. ფინანსთა მინისტრის კანონ-პროექტი ქუთაისის და თბილისის საადგილ-მამულო ბანკების წესდების იმ მუხლების შეცვლის შესახებ, რომელიც ეხება ამ ბანკების საზოგადო კრების შემადგენლობას,

გადაეცეს საფინანსო კომისიას.

საბჭო ამ სიას ამტკიცებს.

ი. აბაკელია. (კითხულობს) დღიური წესრიგი.

პირველი. სამანდატო კომისიის მოხსენება საბჭოს წევრობაზე მამედ-ბეგ აბაშიძის უფლების აღდგენის შესახებ.

მომხსენებელია შალვა მიქელაძე.

მეორე. საბოლოო რედაქცია მცენარე ბელადონის ფოთლის მოკრეფის და ყიდვა-გაყიდვის კანონისა.

მომხსენებელია რაჟდენ არსენიძე.

მესამე. საბოლოო რედაქცია ქალაქ ოზურგეთის ერთდროულ დახმარებად 2000 მ. და უსარგებლო სესხად 50.000 მ. მიცემის კანონისა.

მომხსენებელია რაჟდენ არსენიძე.

მეოთხე. აგრარულ კომისიის დაადგენილება, რომლითაც უარყოფილია მიწათ-მოქმედების სამინისტროს კანონ-პროექტი ზოგიერთ ქალაქ გარედ მდებარე მამულებზე ნასყიდობის, ან საკუთრების უფლების შეზღუდვის აქტების შედგენის შესახებ.

მომხსენებელია კირილე ნინიძე.

მეხუთე. საფინანსო კომისიის დადგენილება, რომელითაც დასკვნილია, რომ მეოთხე სააქციზო ოლქის გადასახადის ზედამხედველის სულხანოვისათვის 4342 მ. ანაზღაურება კანონმდებლობითი აქტს არ საჭიროებს და ამიტომ კანონ-პროექტი ამის შესახებ უარყოფილია.

მომხსენებელია დიომიდე თოფურიძე.

მეექვსე. ადგილობრივ მართველობის და თვითმართველობის კომისიის დადგენილება—რომლითაც ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის წინადადება—საერობო არჩევნების გადადების შესახებ უარყოფილია.

მომხსენებელია მიხეილ კლიმიაშვილი.

მეშვიდე. განხილვა კანონ-პროექტისა 1917 წ. ივლისის 25 მუშათა დამზღვევ კანონის 65 მუხლის შეცვლის შესახებ.

მომხსენებელია ილია ბადრიძე.

მერვე. მსჯელობის გაგრძელება გრ. ვეშაპელის მთავრობისადმი შეკითხვის გამო საჩხერის ამბების შესახებ.

მეცხრე. საბჭოს წევრის დავით ჩიქოვანის მთავრობისადმი შეკითხვა—ტუსაღების გაუსამართლებლად დახვრეტის გამო.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი ამ წესრიგისა? არავინ. მაშ ეს წესრიგი მიღებული გახლავთ. საბოლოო რედაქციების შესახებ სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს რაჟდენ არსენიძეს.

რ. არსენიძე. (ს.-დ.) ორი პატარა კანონ-პროექტი გახლავთ. პირველი—ბელადონის ფოთლის მოკრების და ყიდვა-გაყიდვის შესახებ—(კითხულობს) და მეორე—ქალაქ ოზურგეთისათვის ერთდროეულ დახმარებად 20,000 მან. და უსარგებლო სესხად 50,000 მ. მიცემის შესახებ. (კითხულობს) ჩვენ ამ კანონ-პროქტებში უბრალო სტილისტიურ ცვლილებების გარდა არა შეგვიტანია რა.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი ამ შესწორებისა? მაშასადამე შესწორება მიღებული გახლავთ. ეხლა გახლავთ სამანდატო კომისიის მოხსენება საბჭოს წევრობაზე მემედ-ბეგ აბაშიძის უფლების აღდგენის შესახებ.

სიტყვა ეკუთვნის შალვა მიქელაძეს.

შ. მიქელაძე. (ს.-ფ.) წარსულ ნოემბრიდან, როდესაც მოხდა საქართველოს ეროვნული ყრილობა, საბჭოს წევრად არჩეულ გახლდათ მემედ-ბეგ აბაშიძე. მაგრამ შემდეგ იგი წევრთა სიაში არ იქნა შეტანილი, რადგან აქ არ გახლდათ. ეხლა ბატონი აბაშიძე ჩამოვიდა თბილისში და განაცხადა სურვილი, რომ მისი უფლება აღდგენილ გახლდეთ. სამანდატო კომისიას საჭიროდ მიაჩნია, რომ იყოლიოს საბჭოში სამაჰმადიანო საქართველოს წარმომადგენელი.

აი ამიტომ სამანდატო კომისია სთხოვს ეროვნულ საბჭოს, რომ დაამტკიცოს მანდატი მემედ-ბეგ აბაშიძისა.

თავმჯდომარე. ადასტურებთ, ბატონებო, ამ წინადადებას? წინააღმდეგი არავინ გახლავთ, მაშასადამე ეს მიღებულია.

თავმჯდომარე. ეხლა ბატონო აგრარულ კომისიის წარმომადგენელი მოგახსენებთ აგრარულ კომისიის დადგენილებას, რომლითაც უარყოფილია მიწად-მოქმედების სამინისტროს კანონ-პროექტი. უკაცრაოდ ჩემო ბატონებო, ვინაიდან მიწად-მოქმედების მინისტრი აქ არ გახლავთ, გადავიღეთ შემდეგ კანონ-პროექტის განხილვაზე. შემდეგი გახლავთ საფინანსო კომისიის დადგენილება.

სიტყვა ეკუთვნის დიომ. თოფურიძეს (ხმები: არც ის არის აქ.)

იქნებ საფინანსო კომისიის სხვა რომელიმე წევრმა იკისროს მოხსენება. (დარბაზში სიჩუმეა).

მაშ ჯერ განვიხილოთ ადგილობრივ მართველობის დ თვითმართველობის კომისიის დადგენილება,—რომლითაც ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის წინადადება საერობო არჩევნების გადადების შესახებ უარყოფილია. მომხსენებელი გახლავთ მიხეილ კლიმიაშვილი.

მიხ. კ ლ ი მ ი ა შ ვ ი ლ ი. (ს.-დემ.) ადგილობრივ მართველობის დ თვითმართველობის კომისიაში შემოვიდა წინადადება ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის ერობის არჩევნების შეჩერების შესახებ.

საკანონმდებლო წინადადება ასეთი არის (კითხულობს) პირველი: დაევალოს მთავრობას ანარქიის გამო დროებით საერობო არჩევნების გადადება. და მეორე: დაევალოს თვითმართველობის კომისიას გადასინჯვა და შესწორება ამიერ-კავკასიის კომისარიატის მიერ დამტკიცებულ დებულებათა, შესახებ საერობო დაწესებულებათა ამიერ-კავკასიაში და სასოფლო სამაზრო და საგუბერნიო საერობო ხმოსნების არჩევისა.

აი ეს საკანონმდებლო წინადადება, რომელიც 2 მუხლისგან შესდგება.

ადგილობრივ თვითმართველობის კომისიამ იქონია მსჯელობა ამ წინადადების შესახებ და ვერ სცნო შესაძლებლად წინადადების მიღება ამ საკანონმდებლო წინადადებას კომისიაში ასაბუთებდა ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის წარმომადგენელი შემდეგის მოსაზრებით: შეუძლებელია ეხლა წესიერად მოხდეს არჩევნები, რადგან მთელს ამიერ-კავკასიაში ანარქია არის გამეფებული. და რადგან უწესოდ მოხდება არჩევნები ეს თვითმართველობა არ იქნება გამომხატველი ხალხის სურვილებისა. ამიტომ ის მოითხოვდა: შეჩერდეს არჩევნები იქამდე, ვიდრე მთავრობა წესრიგს დაამყარებს მთელს რესპუბლიკაში და შემდეგ დაიწყოს ახალი არჩევნები.

კომისია არ დაეთანხმა შემდეგი მოსაზრებით კომისიას მიაჩნია საჭიროდ, რომ ეხლა სადაც კი შესაძლებელია არჩევნების მოხდენა იქ აუცილებლივ უნდა მოხდეს.

ანარქიის ამლიერეას ის მღელვარება, რომელსაც იწვევს გლეხ-კაცთა მოთის ის გარემოება, რომ ამდენი ხანი—აგერ წელიწად ნახევარია რევოლუციის შემდეგ და გლეხ-კაცს ჯერაც არ მისცემია საშუალეა, რომ თავისი შემოქმედებითი მუშაობა აწარმოვოს და შინაურ და ადგილობრივ საქმეებს მოახმაროს თავისი ენერგია.

საერობო საქმეები კი მას ბევრი აქვს. დღეს ჩვენში ხალხის ჯანმრთელობის მდგომარეობა აუტანელ მდგომარეობაშია. საქონლის ავადმყოფობამ ხომ სულ მუსრი გავლო იმ ადგილებში, სადაც გადად-გადმოდის ჯარი. სავალალო მდგომარეობაშია გზები. და ამ გზებზე საშინლად უძნელდებათ მიმოსვლა გლეხებს. სოფლები არ არის შეკავშირებული ცენტრთან. ცენტრთან მიმოსვლა მეტად გაძნელებულია,

ყველა ამ მოსაზრებით თვითმმართველობის კომისია გამოსთქვამს იმ აზრს, რომ დარჩეს არჩევნები და არ გადაიდოს.

ამ აზრს ადგია თვითმართველობის კომისია. აგრეთვე კიდევ ერთის მოსაზრებით: ეს არის ფინანსიური საკითხი. არჩევნები უკვე დაიწყო. თბილისის მაზრაში უკვე მოხდა. ასევე გორის მაზრაში სამზადისი არის. ქუთაისის მაზრაშიც, რამდენადაც იქიდან მიღებულ ცნობებით ვიცით, არჩევნები ნახევრად უკვე დასრულებულია.

ამასთან არჩევნების ხელმძღვანელ ორგანიზაციას უკვე დაუხარჯავს 43 ათასი მანეთი. თუ ჩვენ არჩევნები გადავდეთ ეს 43 ათასი მან. უკვე დაკარგულად უნდა ჩაითვალოს. არჩევნები, რომ გადაიდოს, თანახმად ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციის წინადადებისა, მაშინ ახალ არჩევნებში ხელმძღვანელ კომისიას ორი ამდენი მოუნდება. ამ მოსაზრებით, ადგილობრივ თვითმმართველობის კომისიამ უარჰყო ეს წინადადება.

რაც შეეხება მეორე მუხლს, ის რასაც იგი მოითხოვს—ფაქტად უნდა ჩაითვალოს. შინაგან საქმეთა სამინისტრო უკვე მუშაობს ამ მხრივ და სულ მოკლე ხანში წარმოგიდგენთ შესაფერ შესწორებებს.

ალბად ეს შესწორებანი იქნება შეხამებული საჭიროებისამებრ და მიღებული საბჭოს მიერ.

მაშასადამე ეს მუხლი თავის თავად ჰკარგავს მნიშვნელობას. ამ მოსაზრებით ეს მუხლიც არ იქმნა მიღებული.

## პარლამენტის გარშემო.

დღეს ეროვნული საბჭოს მორიგი კრებაა. (მე—35).

დ ღ ი უ რ ი წ ე ს რ ი გ ი.

1. ცნობა კომისიებში გადასაცემ კანონ-პროექტების შესახებ.
2. საბოლოო ტექსტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანონისა.

მომხსენებელია ს. ფ ი რ ც ხ ა ლ ა ვ ა.

3. საბოლოო ტექსტი კანონისა—სახორცე საქონლის აწინდელ გადასახადის გადიდებისა.

მომხსენებელია რ. ა რ ს ე ნ ი ძ ე.

4. მსჯელობის გაგრძელება—განათლების სამინისტროს ორგანიზაციის და შტატების კანონ-პროექტის შესახებ.

მომხსენებელია ნოე ც ი ნ ც ა ძ ე.

5. საბჭოს წევრის ალექსანდრე ახმეტელის მთავრობისადმი შეკითხვა—პურის და სანოვაგის სიძვირის ნიადაგზე წარმოებულ აგიტაციის შესახებ—საქართველოს დამოუკიდებლობისა და რესპუბლიკის მთავრობის წინაღმდეგ.

## „ს.-დ- და სახელმწიფო ორგანიზაცია“

ნ. ნ. ჟორდანიას მოხსენება

(დასასრული).

ამის შემდეგ არის ძნელი და სადავო უფლების საკითხი: როგორ უნდა განაწილდეს საკანონმდებლო აღმასრულებელი ძალა საკანონმდებლო ორგანოსა და ხალხის შორის ისე, რომ ხალხი უარს არა ჰყოფდეს პროგრესიულ კანონებს, ან პროვინციალიზმი არ იქვემდებარებდეს ცენტრს?

გლეხთა ჩამორჩენილობა საქართველოში ცხადია, მაგრამ ჩვენ ძლიერი ბურჟუაზია არა გვყავს და რევოლიუციონურ მღელვარების დროს კონსერვატიული ძალები რეფერენდუმზე დამღუპველ გავლენას ვერ იქონიებენ. პირიქით საკითხის სიძნელეს და სირთულეს ხმის მიცემის დროს ჩვენში შეუძლიან უარყოფითი როლი ითამაშოს, რადგან ადამიანი, მას რაც არ ესმის ან უარსა ჰყოფს, ან და შეუკნებლად მიიღებს გარეშე ძალის გავლენით.

ამიტომ ჩვენ უნდა შევჩერდეთ 93 წლის კონსტიტუციის კომპრომისზე, რომლის ძალით ზოგიერთი საკითხების კანონები რეფერენდუმს ექვემდებარებიან (აუცილებელს ან ფაკულტატიურს), დანარჩენს კი კანონმდებლობითი ორგანო პირდაპირა სცემს. რეფერენდუმს გადაეცემა ყველა ის საკითხები, რომელიც ხალხის ჯიბესთან არის დაკავშირებული, ე. ი. სახელმწიფოს ხარჯთ აღრიცხვა, ომი და ზავი, და სახალხო განათლება. კანონმდებლობაში ხალხის ასეთ მონაწილეობის მიღებას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, აერთიანებს სახელმწიფოს და ხალხს და ასწავლის რესპუბლიკის ინტერების მიზანთა დაცვის შეგნებას.

ერთის სიტყვით, ციურიხის კანტონის კონსტიტუციის სიტყვებით რომ ვსთქვათ: „ხალხი პალატის დეპუტატთა დახმარებით ახორციელებს საკანონმდებლო ძალა-უფლებას“.

ერთ პალატიან სისტემაში, როგორც ჩვენში უნდა იყოს მიღებული, რეფერენდუმი მოქმედობს საკონტროლო სახით.

ცენტრალური ადმინისტრატიული ორგანო არის მინისტრთა კაბინეტი. პარლამენტარულ რეჟიმში სამინისტრო შეადგენს საპარლამენტო აღმასრულებელ ძალას, ე. ი. პარლამენტის დადგენილებას ასრულებენ მხოლოდ სამინისტროები და მათი მოხელენი. ეს ერთი სახასიათო მხარეა, მეორე კი შესდგება იმაში, რომ სამინისტრო პალატის უმრავლესობათა სურვილის გამომხატველია და იცვლება ამ უმრავლესობის მხედველობის შეცვლის თანახმად.

დემოკრატიულ ქვეყნებში სამინისტროს არც ერთი ეს მხარეები არ ახლავს. იგი არ არის კანონის ერთად ერთი აღმასრულებელი და პარლამენტის წინაშე პოლიტიკური პასუხის მგებელი.

რატომ არის ეს ასე?

ცხადია, იმიტომ რომ, რაკი კანონმდებელი არის არა მარტო პალატა, არამედ ხალხი და თანაც შესაძლებელია, რომ პალატის უმრავლესობა არ შეეთანხმოს ხალხის უმრავლესობას, სამინისტროს შედგენა უთუოდ პალატის დეპუტატთა უმრავლესობისგან არ შეიძლება, რადგან რესპუბლიკის მოქალაქეთა უმრავლესობასთანა უცილებლათ კონფლიქტი მოხდება. მაგრამ არც მარტო მოქალაქეთა უმრავლესობისაგან შეიძლება სამინისტროს შედგენა, რადგან ეს უმრავლესობა პოლიტიკური ნიშნებით კი არ ირკვევა, არამედ კანონის ხასიათის მიხედვით, რომელსაც თვით ხალხმა მისცა ხმა. ასე რომ თუ პარლამენტარიზმის გზას გავყვებით, თვით პარლამენტი უნდა გადადგეს, რაკი მის კანონს ხალხი უარსა ჰყოფს.

ამ ნაირად დემოკრატიული რესპუბლიკის პრინციპებს პარლამენტარიზმი ძირითადათ ეწინააღმდეგება.

უკანასკნელი სიტყვა ხალხს ეკუთვნის; დეპუტატებს, მინისტრებს და ადმინისტრაციის სხვა პირებს მბრძანებლებათ კი არა სთვლის რომელსაც უსათუოდ უნდა დაემორჩილო მათი თანამდებობიდან გადადგომის შიშით, არამედ უყურებს ისე, როგორც თავის მსახურს, რწმუნებულს, რომელნიც ვალდებულნი არიან ხალხის სურვილი და ნება შეასრულონ, თუნდაც ისინი არ იყვნენ ამის თანახმა. აქ ბატონი და ბრძანებელი ხალხია და ის არ ეკითხება მინისტრებს. ისინი თანახმანი არიან თუ არა, ხალხი კარნახობს თავის სურვილს, რომლის აუსრულებლობა სისხლის სამართლის კანონის ძალით ისჯება.

ეს არის უაღრესი ფორმა დემოკრატიის გამგებლობისა დ სანამ ხალხი ამის შეგნებამდე არ მიაღწევს, მან რასაკვირველია, ყოველთვის ანგარიში უნდა გაუწიოს თავის ადმინისტრატორების სურვილებს და ჯიუტობას, რომელნიც ხდებიან მისი ბატონები და არა მსახურები.

შესაძლებელია თუ არა ჩვენში არა პარლამენტარული სამინისტრო? ამაზე კატეგორიული პასუხის გაცემა არ შეიძლება, რადგან ამას, მხოლოდ დემოკრატიული კონსტიტუციის პრაქტიკიდან გავიგებთ. თუმცა, როგორც გარდამავალი საფეხური უნდა შესდგეს ისეთი სამინისტრო, სადაც თავმჯდომარე და ერთი, ან ორი მინისტრი, (მაგალითად საშინაო და საგარეო) პოლიტიკურათ პასუხის მგებელნი იქნებიან და დანარჩენი კი საქმის ხალხი, რომელნიც პასუხის მგებელ მინისტრების გადადგობის დროსაც კი განაგრძობენ თავიანთ საქმეს.

თუმცა დემოკრატიულ სამინისტროს ჯერ კიდევ არ ნიშნავს არა პარლამენტარული სამინისტრო, თუ კი ის არის კანონის ერთად-ერთი აღმასრულებელი, რადგან ამ შემთხვევაში იგი ისე გაძლიერდება, თავის მიერ დანიშნულ მოხელეებით, რომ შესძლებს ხალხის დამორჩილებას და რეფერენდუმის და სუვეოენიტეტის გაქარწყლებას. ადმინისტრატორების ამორჩევა უნდა მიენდოს ხალხის ამორჩეულებს რომელიც ერობისა დ თვითმართველობის მუნიციპალურ სახით არის წარმოდგენილი.

იტყვიან: მაშინ ხომ სამინისტროები უსაქმოდ დარჩებიანო! სრულიადაც არა. ცენტრალური აღმასრულებელი ძალის კონსტრუქციის შედგენის დროს, ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ ერთის პრინციპით, რომ ეს აღმასრულებელი ძალა რაც შეიძლება ნაკლებათ მართავდეს ადამიანებს და რაც შეიძლება მეტად—საგნებს. მცირე მქონეთა და ბოგანოთა კლასის ინტერესები თხოულობენ, რომ სახელმწიფომ პირველ ყოვლისა იზრუნოს საზოგადოებრივ სიმდიდრეზე, ხალხის მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესობაზე და კულტურულ საქმეების მოგვარებაზე, და მხოლოდ მერე ადმინისტრატულ-პოლიტიკურ საკითხებზე. რკინის გზების, ტყეების, მაშულების, მიწის წიაღის, ტბების დამრობის, მედიცინის, სკოლების, მუშათა დაზღვევის და სხვათა საქმეების მოვლა, აი მთავრობის მუშაობის საგნები.

შესაძლებლობის ფარგლებში სახელმწიფო უნდა გადაიქცეს ოჯახურ ორგანიზაციათ—ეს არის ჩვენი მიზანი დემოკრატიულ რესპუბლიკის აშენების დროს.

მაშასადამე, როგორც საკანონმდებლო ძალა-უფლება გავანაწილეთ პარლამენტისა და ხალხის შორის, ისე აღმასრულებელი ძალაც უნდა განაწილდეს მთავრობასა და საზოგადოებრივ თვითმართველ ორგანოებს შორის. ამიტომ უპირველეს ყოვლისა და სწრაფად უნდა მოეწყოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების ადგილობრივი ცენტრები და კომუნალური ორგანოები, რომლის შემდეგაც სახელმწიფოებრივი შენობა მოიპოვებს მტკიცე საძირკველს.

ყველა პარლამენტარული და ნახევრად პარლამენტარული სახელმწიფოები გარდა ინგლისისა, თავიანთ მოხელეებს ისე უყურებენ, თითქო „მათ აქვთ განსაკუთრებულ უფლებათა მთელი სისტემა, პრივილეგიები, პრეროგატივები, რომელიც არა აქვს ჩვეულებრივ მოქალაქეს“.

უფლებათა ასეთი გაგება ძირითადად ეწინააღმდეგება დემოკრატიულ რესპუბლიკის პრინციპებს, სადაც მთავრობის მოხელეები როგორცა ვსთქვით, ხალხის მსახურნი არიან, არა აქვთ არავითარი განსაკუთრებული პრეროგატივები და უფლებები და ექვემდებარებიან ჩვეულებრივ სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონებს. ყველა პარლამენტარულ ქვეყნებში, ადმინისტრატიული უფლება მხოლოდ ინგლისმა აიცდინა, სადაც ჩვეულებრივ სასამართლოს და ჩვეულებრივ პროცესს ექვემდებარება ყველა მეფიდან დაწყებული უბრალო მომაკვდავამდე. სამსახურში ჩადენილ დანაშაულობისათვის ყოველ მოქალაქესა აქვს უფლება სამართალში მისცეს ესა თუ ის მოხელე რა თანამდებობისაც არ უნდა იყოს იგი. აი ეს სისტემა ეთანხმება სრულიად დემოკრატიულ რესპუბლიკის პრინციპებს და ჩვენც უნდა მივიღოთ იგი.

თითქმის ყველგან ადმინისტრაცია ითვლება გაბატონებულთა ორგანოთ, სასამართლო—ხელქვეითების ორგანოთ. ეს ორი დაწესებულება ყოველთვის „ულრენდენ“ ერთი მეორეს და ვერსად, გარდა ინგლისისა, სასამართლომ ვერ მოახერხა დამორჩილება ადმინისტრაციისა, რომელიც განცალკევდა და თავის საკუთარი სასამართლოები დაიარსა. რაკი სასამართლო სუსტთა და დაჩაგრულთა ერთად-ერთი თავშესაფარი იყო, ამიტომ რასაკვირველია თავისუფლებისათვის მებრძოლთ უნდა ყოველივე ღონე ეხმარათ, რომ სასამართლო ადმინისტრაციისაგან დამოუკიდებელი ყოფილიყო, რომ ამითი ხალხისათვის მინიმალური სამართლიანობა მაინც უზრუნველ ეყოთ. აქედან გამომდინარეობს იდეა მოსამართლეთა შეუცვლელობისა, როგორც დამოუკიდებლობის გარანტია.

მაგრამ როგორც კი დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მივალთ მდგომარება იმ წამსვე იცვლება და სასამართლო სხვა პირობებში ვარდება. რაკი მოსამართლე უნდა ხალხის მიერ იყოს არჩეული და არა მთავრობისაგან დანიშნული, ცხადია, რომ მას ადმინისტრაციის აგენტობა არ შეუძლიან და არც გაბატონებულებისაგან იქნება დამოკიდებული. ის დამოკიდებულია მხოლოდ ხალხისგან, რომლისთვისაც უნდა შეჰქმნას მართლმსაჯულება, მაშასადამე ახალ პირობებში სასამართლოს დამოუკიდებლობა შეუძლებელი იყო მხოლოდ გაბატონებულების მოთხოვნილება.

ამ რიგად მოსამართლენი დამოუკიდებელნი და შეუცვლელნი უნდა იყვნენ პარლამენტარულსა და ნახევრად პარლამენტარულს ქვეყნებში, დამოკიდებულნი და შეცვლილნი დემოკრატიულ რესპუბლიკებში. თავის ამორჩეულებს მხოლოდ ხალხი სცვლის.

სასასართლოს ორგანოების შექმნის დროსაც ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ ჩვენი პრინციპის მთავარი დებულებით; ცენტრისა და ხალხის შორის გავყოთ. 93 წლის კონსტიტუციის მიხედვით, ხალხმა თავის რწმუნებულების სახით უნდა აირჩიოს, როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო საქმეთა მოსამართლენი, და ეს უკანასკნელნი ნაფიც მსაჯულებთან ერთად სჭრიან სამართალს. სახელმწიფოს უზენაესი სასამართლო, რომელიც ყველა სასამართლოების თვალყურის მდევნელია, და არჩევს მხოლოდ განსაკუთრებულ მძიმე საქმეებს და სწყვეტს კასაციურ საქმეებს, როგორც უზენაესი ინსტანცია, უნდა აირჩიოს პარლამენტმა, როგორც შვეიცარიაშია. ყველა მოსამართლენი ირჩევიან განსაზღვრული დროთი და აქვთ ხელმეორეთ არჩევის უფლება. უკიდურეს შემთხვევაში შესაძლებელია კომპრომისი, მეორედ ამორჩეულნი მოსამართლენი, როგორც ხალხის მიერ ნდობა მოპოებულნი, შეუცვლელად ითვლებიან. მაგრამ ეს დროებითი კომპრომისია, რომელიც დემოკრატიულ რესპუბლიკიდან არ გამომდინარეობს და მალე უნდა იქნას გაუქმებული.

მე არაფერი არა ვთქვი ერთ ძალიან ძლიერ დაწესებულებაზე, რომელსაც ყოველივე დროს შეუძლიან დამარხოს რა წესწყობილება და რაგვარი თავისუფლებაც არ უნდა იყოს—ეს არის მუდმივი ჯარი.

მაგრამ ყოველივე ნათქვამიდან ცხადია, რომ მუდმივი ჯარი დემოკრატიულ რესპუბლიკას ვერ შეეგუება და როგორც კი ეს საერთაშორისო ომი გათავდება და ნეიტრალურის სახით ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა გამოირკვევა, გადავალთ სახალხო მილიციის სისტემაზე.

მე გავათავე.

როგორცა ხედავთ ჩვენ წინა სდგას ძნელი და რთული საკითხი: უნიტარულ დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება—ე. ი. ისეთი წესის, რომელიც ჯერ არსად არ არსებობს. ამ ძნელი ამოცანის გადასაჭრელად აუცილებლად საჭიროა ორი უმთავრესი პირობა—ჭეშმარიტი დამოუკიდებლობა საქართველოსი და ძლიერი, დემოკრატიული ძალა-უფლება, რომელიც ახალი წესის ცხოვრებაში გატარების უნარს გამოიჩენს.

ჩვენს პარლამენტს კონვენტის უფლება უნდა ჰქონდეს, რომ მან შესძლოს გზის გაწმენდა, ყოველივე დაბრკოლებანი სძლიოს და ხალხი დემოკრატიულ პოლიტიკურ თვითმართველობას აზიაროს.

და თუ მიუხედავათ ყოველივე ამისა ჩვენ მიზანს ვერ მივახწიეთ, დავმარცხდით და მტერმა გაიხარა ერთი მაინც უტყუარი დარჩება—რომელსაც მიუდგომელი ისტორია აღნიშნავს,—რომ ჩვენ სწორი და ჭეშმარიტი გზით მივდიოდით და რაც შეგვეძლო ის გავაკეთეთ.

## დეპეშები.

(დეპეშათა სააგენტო)

2 სექტემბერი.

მ ო ს კ ო ვ ი, 31 აგვისტო. ინგლისის პრესა აღნიშნავს, რომ რუსეთში გადმოსხმულ ინგლის-საფრანგეთის ჯარებში ყველაზე ძლიერია ვლადივოსტოკის რაზმი, თუმცა ისიც

სუსტია იმ მოვალეობის ასასრულებლად, რომელიც მას აწევს.

ჩეხო-სლოვაკების რაზმებს თან და თან აკლდება. როცა მათ აიღეს ციმბირის რკინის გზის ნაწილი და გამწკრივდნენ მასზე, რეზერვში უკვე აღარავინ ყავდათ.

მათდამი დაჭერილ ქალაქებში ჯარები ძალიან ცოტაა. აღმოსავლეთით ციმბირი საბჭოთა ხელშია.

ჩეხო-სლოვაკები მუშათა და გლეხთა შორის, რომლებიც მათ მტრულ განწყობილებაში არიან, გამოუსვლელ მდგომარეობაში გრძნობენ თავს. ზოგიერთი მათგანი უკვე გარბიან.

ბ ე რ ლ ი ნ ი, 1 სექტ. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის და ბოინის ლაშქარი იპრისა და ლა-ბასეს შუა ჩვენ შევამცირეთ ჩვენი ფრონტი.

მტერს დაუტოვეთ კემელი.

გუშინ ინგლისელებმა დიდი ძალით შემოუტიეს ჩვენს ხაზებს.

ჩვენ მიერ წინდატოვებული შერეული რაზმები მტერს ებრძვის. მტერმა დაიჭირა კემელი და ბეილელ-ნეფ-ბერკინის და ლავეს მიმართულებით მიდის, ხენდეკურტის და ვოლვროკურტის შუა მტრის ძლიერმა განმეორებით შეტევებმა უნაყოფოდ ჩაიარა. ბულეკურტი და ეკურტი მათ ხელში დარჩა. მორვალეს და პერონეს შუა ინგლისელმა და ავსტრალიელმა დივიზიამ დაიწყო შეტევები. მორვალთან და ბოკურტის სამხრეთ დასავლეთით მტერი მოვიგერიეთ. ბოშავენი ჩვენ დაგვრჩა.

მტრის ცდა სომაზე გადასვლისა დამარცხდა. სომას და უაზას შუა ფრანგების ძლიერი შეტევებია.

ვუისთან მტერი გავფანტეთ.

ბოლენის და მორლენკურტის შუა შეტევების დროს მტერი ძლიერ დამარცხდა და დიდათ დაზარალდა. გუშინ საღამოთი უაზას და ენის შუა ძლიერი საარტილერიო მომზადების შემდეგ, ისევ დაიწყო ქვეითა ჯარის სროლა. უაზას სამხრეთით მტრის შეტევები დაამარცხა ჩვენმა საარტილერიო ცეცხლმა, შამპას ორივე მხრით მტერმა ძლიერი შეტევები დაიწყო, ჩვენ ვუპასუხეთ და აღვადგინეთ წინანდელი მდგომარეობა.

კრესი-ო-მონტთან მტერი მოვიგერიეთ. იუეინის მხრით მტერმა წინ წაიწია აკრუიმდე, სადაც ის ჩვენმა რეზერვებმა შეაჩერა.

ვ ე ნ ა, 1 სექტემბერი. სამხედრო ცნობა. არც ერთ ფრონტზე მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა.

ს ტ ა მ ბ უ ლ ი, 1 სექტემბერი. სამხედრო ცნობა. გუშინ საარტილერიო ბრძოლა ჩვეულებრივზე ძლიერი იყო. გზატკეცილ იერუსალიმ ნაბლუსის დასავლეთით ჩვენ მოვიგერეთ ძლიერი მზვერავი რაზმი.

იერიხოსთან და ლანდესესთან მტრის ბანაკებში შემჩნეულია დიდი მოძრაობა.

სხვა ფრონტებზე შესანიშნავი არაფერია.

ბ ე რ ლ ი ნ ი, 1 სექტემბერი. საღამოს სამხედრო ცნობა. სკარპის და სომას შუა სამხედრო მოქმედებაა. ინგლისელთა შეტევები საერთოთ მოგერებულია. უაზას და ენის შუა ნაწილობრივი შეტევები მოგერებულია.

პ ა რ ი ზ ი, 1 სექტემბერი. სამხედრო ცნობა. სომის მიდამოებში უკანასკნელ დღეს საარტილერიო ბრძოლაა. ფრანგის ჯარები გამაგრდნენ კუსი-დე-შატოში. სხვა ფრონტებზე სიმშვიდეა.

ბ ე რ ლ ი ნ ი, 31 აგვ. საღამოის სამხედრო ცნობა. ინგლისელებმა დღეს შეამჩნიეს იპრსა და ლა-ბასეს შუა ფრონტის შემცირება.

არასის სამხრეთ დასავლეთით ინგლისელთა ნაწილობრივი შეტევები ვერ დამთავრდა მათ სასარგებლოდ. ნუაიონის ორივე მხრით და უაზას და ენის შუა შუადღის შემდეგ ძლიერი საარტილერიო მომზადების შემდეგ დაიწყო ფრანგების შეტევები.

მ ო ს კ ო ვ ი, 1 სექტემბ. საბჭოთა ჯარები ყველა ფრონტებზე წინ მიდიან. ალფაევის მიმართულებით საბჭოთა ჯარებმა აიღეს ლებედკინო და დუბროვნაია.

სვისკის (?) მიმართულებით მათ აიღეს სელეზკაია. სევერნაია დვინას მარჯვენა ნაპირით საბჭოთა ჯარები ტროიცკამდე მივიდნენ.

ჩ ი ჩ ე რ ი ნ ი.

---

სრულიად რუსეთის ცენტრალურ-აღმასრულებელ კომიტეტის ბეჭდვითი ბიუროს ბილიუტენები.

მტერი იხევს, ანგრევს და შლის გზებს და ხიდებს. გუშინ ბრძოლით დავიპყარით სოფ. ნეჟნოცკაია. ფრონტის სამხრეთ ნაწილში სლობ. ალექსანდროვკაში გაიმართა ბრძოლა, რომელიც ძლიერი იერიშების შემდეგ ჩვენ ხელში გადმოვიდა. ახალ ხოპიორის გასწვრივ ავიღეთ დაბა ჩერკასკი. კავკავის რკინის გზაზე ავიღეთ სად. გნილოვსკაია. ფრონტის სამხრეთ ნაწილში, სადაც ჩვენ ალექსანდროვკა ავიღეთ, მცხოვრებლები დასძენენ, რომ მტრის ბანაკში საშინელი რღვევაა და სულიერად დაცემა.

---

პეტროგრადში ახალ მკვლელობას ჰქონდა ადგილი. კუთხიდან ტყვიით დასჭრეს სახალხო კომისართა გამოჩენილი მოღვაწე, ჩრდილოეთ მხარის შინაგან საქმეთა კომისარი ურიცკი. მკვლელი აღმოჩნდა სოც.-რევ. პოლიტეხნიკუმის სტუდენტი, საარტილერიო სასწავლებლის ყოფილი იუნკერი, იუნკერ-სოციალისტთა ჯგუფის თამჯდომარე.

მ ო ს კ ო ვ ი, 31 აგვისტო. მკვლელი დაატუსაღეს ინგლისელებთა ყრილობის შენობაში.

გუშინდელ შემდგარ მოსკოვის პროლეტარიატის ყრილობაზე საკმაოდ პასუხი გაეცა ალვირ ახსნილ კონტ-რევოლიუციონერთა გამოსვლებს. ახალი ცდა ბურჟუაზიათა დ კონტრრევოლიუციონერთა მალულად, ზურგს უკან მახვილი ჩაეცა სახალხო საბჭოსათვის გვაიძულა გავატაროთ ცხოვრებაში სასტიკი დიქტატურა, რომელიც შეაძრწოლებს რევოლიუციის მტრებს და მიწასთან გაასწორებს მათ.

---

ურალის ოლქის მთავრობამ დახვრიტა ცენტრალურ საბჭოს მთავრობის საზავო დელეგაციის წევრი ნეუსიპოვი. რამოდენიმე სროლის შემდეგ ნეუსიპოვმა უკანასკნელად წარმოსთქვა „გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკას“-ო.

---

კიევში მეტად გახშირდა ძარცვა-რბევა. ქალაქის შორეულ ცენტრში ხოცავენ მგზავრებს და აუპატიურებენ ქალებს.

---

ქვემო მაგილში აუარებელ ხალხის თანადასწრებით თავისუფლებისათვის მებრძოლთა ძეგლი გაიხსნა. ძეგლის პირზე გამოკვეთილია რესპუბლიკის ღერბი და ამოჭრილია პროფესორ ეპიკურის სიტყვები: „სიკვდილი, უბედურებაა არა იმათთვის, ვინც კვდება, არამედ მათთვის, ვინაც ცოცხალი აქ რჩება“.

---

მოსკოვში შეთქმულებათა აღმოჩენის გამო დატუსაღებულია 100 კაცზე მეტი. თეთრგვარდიელების საბუთებიდან სჩანს, რომ ისინი ფრანგ-ინგლისელებისაგან დიდძალ ფულს ღებულობდენ.—ამ ორგანიზაციას კავშირი ჰქონდა მემარჯვენე სოც.-რევოლიუციონერებთან.

## უ ც ხ ო ე თ ი.

### გერმანია.

ზოლინგენში მიტინგზე „დამოუკიდებელ“ სოციალ-დემოკრატებმა შეიდმანს სიტყვის თქმა არ დააცალეს ლაპადაკის დროს უყვიროდენ: „მოვითხოვთ ლიბკნეხტის და დიტმანის განთავისუფლებას“ და ინტერნაციონალის ჰიმნს მღეროდენ. მთავრობამ მიტინგი დაშალა.

### ინგლისი.

ქვევითა პალატაში პაციფისტთა ჯგუფმა, პალატის მუშაობის ვადის გადადების შესახებ თათბირის დროს, მოითხოვა ზავის ჩამოსაგდებად დაბეჯითებით გამოსვლა.

### სპარსეთი.

„ტიმესის“ ცნობით სპარსეთში დიდი არეულობები დაიწყო, რაიც სპარსეთში მყოფ ინგლისის ელჩის სამხედრო ზომების მიღებამ გამოიწვია.

### ოსმალეთი.

თურქული გაზეთი „აატი“ ომის შემდეგ ასახელებს მიზნებს, რომელსაც თითქო ელტვის ოსმალეთის საზოგადოებრივი აზრი: 1) მტრის ხელიდან მესოპატამიის, სირიის და პალესტინის დაბრუნება. 2) ეგვიპტეში ოსმალეთის ბატონობის აღდგენა. 3) სპარსეთის დამოუკიდებლობა იქიდან ინგლისელების განდევნით; 4) შავი ზღვა უნდა გახდეს ოსმალეთის ზღვათ, რომლის სანაპირო სახელმწიფოები ოსმალეთის პროტექტორატის ქვეშ უნდა იყოს; ყირიმში და ადერბეიჯანში ოსმალეთის პრინცი, საქართველოში ნემცების პრინცი და სომხეთში ჰერც-გერცოგი მშვენიერი რეგენტები იქნებიან. 5) ბოლგარიას შეუძლიან ჩრდილო დობრუჯა მიიღოს, მაგრამ უნდა დააბრუნოს ოსმალეთისაგან წართმეული ტერიტორიები. კონსტანცა და დედეაგაჩი თავისუფალ ნავთსადგურებით უნდა გადაიქცეს. 6) ავსტრიამ არ უნდა გაანთავისუფლოს ჩრდილო იტალია სანამ სულთანს არ დაუბრუნებენ ტრიპოლის, კირენარკას და დოდეკანოზს. 7) ამავე დროს ჩვენმა მოკავშირეებმა უნდა აღგვითქვან, რომ ოსმალეთს დაუბრუნდება კუნძულები და მათ შორის კრიტოსიც. 8) სურსათის მიწვდენა ოსმალეთში ისე უნდა გატარდეს, როგორც გერმანიაში“. გაზეთი წერილს ათავებს იმითი, რომ დასძენს, ეს მოთხოვნილებები შედარებით ძალიან მცირეა, რადგან ისე შორს არ მიდიან, როგორც პანგერმანელების გეგმები, რომლებიც არ თხოულობენ ოსმალებს დაუბრუნდეს ის ადგილები, რაიც მას სულთანის მეფობის დასაწყისში ეკუთვნოდაო.

## საფრანგეთის ექსმინისტრის მალვის საქმე

საფრანგეთის სენატში დამთავრდა ერთი დიდი პროცესი ყოფილი მინისტრ მალვისა, რომელსაც დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. აქ, როგორც დრეიფუსის პროცესში შეეჯახნენ მოპირდაპირე ძალები, ერთის მხრით სამხედრო ძალები, ახლად ფავწამოყოფილ მონარქისტთა ჯგუფი, პატრიოტები და ბურჟუაზიის წარმომადგენლები და მეორე მხრით ჭეშმარიტად რესპულიკანური, რადიკალური და სოციალისტური საფრანგეთი.

ამ პროცესის მიზანიც იგივეა, რაც დრეიფუსის დროს 25 წლის წინათ: შინ რეაქციის გაძლიერება და გარეთ აგრესიული პოლიტიკის წარმოება.

მალვის დასწამეს სამშობლოს ღალატი. მას უნდოდა, რომ მეომარ საფრანგეთის ყველა კლასებისა და ჯგუფებისათვის სამოქალაქო ზავი თანასწორად საპატიო უნდა ყოფილიყო და ამიტომ, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრმა სოციალისტურ ორგანიზაციების და მუშების დევნა შეაჩერა. თუმცა მეომარ სახელმწიფოთა ქვეშევრდომებს და საერთოდ უცხოელებს სასტიკათ თვალყურს ადევნებდა, რომ საფრანგეთისთვის რაიმე ზიანი არ მოეტანათ.

მაგრამ მინისტრის ასეთი პოლიტიკა არ მოეწონათ ნაციონალურ თავდაცვის კაბინეტებში და რეაქციონურ ოპოზიციონერთა ჯგუფის გაშმაგებული წინააღმდეგობა გამოიწვია. გაილაშქრეს მის წინააღმდეგ. ბრძოლას მის წინააღმდეგ სათავეში ჩაუდგა ჟორჟ კლემანსო. დააბრალეს ღალატი, თავს მოახვიეს ფრონტზე მომხდარი ჯარის-კაცთა მღელვარება, სხვა და სხვა ადგილას ბრძოლის წაგება, სენატში უნდობლობა გამოუცხადეს, დასვეს დამნაშავის სკამზე.

თუმცა ხანგრძლივი გამოძიებით ვერაფრით ვერ დაუმტკიცდა თავზე მოხვეული დანაშაულობანი, გაბათილდა და თვით ბრალმდებელმაც უარყო მისი სამშობლოს წინაშე ღალატი, მაგრამ მაინც გადაუწყვიტეს ხუთის წლით გაძევება და პოლიტიკურ უფლებათა ჩამორთმევა.

ამ პროცესის შედეგს დიდი საერთაშორისო მნიშვნელობაცა აქვს.

დეპუტატთა პალატა გამოეხმაურება სენატის ასეთ განაჩენს. სოციალისტური პარტია შეებრძოლება უსამართლო განაჩენს. მაშასადამე მოსალოდნელია დიდი ბრძოლა წინ.

## ლენინის დაჭრა.

(დეპეშებიდან).

30 აგვისტოს, საღამოს, 11 საათზე, ვიღაც უცნობმა ქალმა რევოლვრით სასიკვდილოთ დასჭრა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ულიანოვ-ლენინი.

როგორც წინასწარ გამოძიებიდან გამოირკვა, ქალი, რომელმაც ლენინი დასჭრა მემარჯვენეთა სოც.-რევ. პარტიის წევრი ყოფილა, ჩერნოვის ჯგუფისა. ოქტომბრის გამოსვლას უარყოფითად უყურებდა, იცავდა დამფუძნებელ კრებას. თავის ჩვენებაში მან განაცხადა, რომ არ სცნობს სამარის კონტრ-რევოლიუციონურ მთავრობას და იწონებს ფრანგ-ინგლისელების მოქმედებებს. თავის თანამონაწილეთა დასახელებაზე ქალმა უარი განაცხადა. არა სთქვა აგრეთვე თუ საიდან მიიღო ფული, რომელიც მას უნახეს. 1907 წ. ის, როგორც ანარხისტკა, კიევში აფეთქების დროს ყოფილა. შემდეგ კატორღა მიუსჯიათ, ყოფილ აკატუევის ციხეში; ის სულ ახლა ხან ჩამოსულა ყირიმიდან და უკანასკნელ ხანებში მოსკოვში სცხოვრობდა. მოწმეთა ჩვენებიდან გამოირკვა რომ ლენინის მოკვლის საქმე ორგანიზაციულად ყოფილა მოწყობილი. იმ დროს, როცა ლენინი ავტომობილში ჩაჯდომას აპირებდა, ვიღაც უცნობმა გამოიხმო, ვითომ მოსალაპარაკებლად.

დაჭერილია რამოდენიმე კაცი. გამოძიება სწარმოებს.

## ახალი ამბები.

### მთავრობაში.

◯ ადერბეიჯანისა და საქართველოს შორის ბონების შესახებ ხელ შეკრულობაზე, მთავრობამ დაადგინა: 1) ხელშეკრულობის პროექტი მოწონებულ იქმნას და წარუდგინოს ეროვნულ საბჭოს. 2) იმ საქმეთა სადავო ხასიათი, რომელიც უნდა გაარჩიოს საქართველოსა და ადერბეიჯანის მიერ შემდგარმა არბიდაჟამ, უნდა გადაწყვიტოს თვითონ საარბიდაჟო კომისიამ.

◯ საქართველოს სამხედრო საბჭოს თავჯდომარე გენ. ოდიშელიძემ შემდეგი დეპეშა მიიღო პეტროგრადის ეროვნულ საბჭოს თავჯდომარის ა. ნ. ჩერქეზიშვილისაგან: „პეტროგრადის პრესაში ყოველ დღე იბეჭდება ხმები რუს ოფიცერთა ტრაგიკულ მდგომარეობის შესახებ საქართველოში. მათ ვითომც და პურის „პაიკები“ არ ეძლევათ: ძალით აძევებენ საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან, ატყვევებენ უმიზეზოდ, ნებას არ აძლევენ რუსულ ენაზე ლაპარაკისას საზოგადო დაწესებულებში და სხვა. უმორჩილესადა გთხოვთ ესეთი ინსინუაციები ან პირადად უარჰყოთ ან და მოანდოთ ჩვენს კომიტეს უარვყოთ ეს ხმები თქვენის მონდობილობით.

◯ სამხედრო მინისტრმა სასტიკი განკარგულება დაუგზავნა სადგურის კომენდანტსა და ყველა სამხედრო უფროსებს დაიჭირონ ის ჯარის კაცნი, რომელნიც ღებულობენ ტანისამოსს და შემდეგ სახლებში იპარებიან.

◯ შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა თბილისის გუბერნიის კომისიას დაუყონებლივ მოაწყოს ადმინისტრატიული წესწყობილება აწყურის რაიონში, რომელიც უკვე დაიკავეს საქართველოს რესპუბლიკის ჯარებმა.

### სახალხო განათლება.

◯ თბილისის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში ლექციების კითხვა დაიწყება 15 სექტემბრიდან. თხოვნების მიღება გაგრძელდება 10 სექტემბრამდე.

◯ 30 აგვისტომდე სასოფლო-სამეურნეო თავისუფალ 250 ვაკანსიაზე შემოტანილია 320 თხოვნა, ეკონომიურ განყობილებაში მისაღებად შემოვიდა 200 თხოვნა, უმეტესობა მათში გიმნაზიაში კურს დამთავრებულნი არიან. იანვრიდან გაიხსნება ჰიდრო-მექანიკური განყოფილება.

### ერობა.

◯ ერობის ხმოსნებად ახალ-სენაკის მაზრაში ამორჩეულ იქნენ 22 სოციალისტურ ბლოკისა (სოციალ-დემოკრატები და ფედერალისტები) 7 სოც. რევოლიუციონერები და 3 ეროვნულ-დემოკრატები. არჩევნები დამთავრდა. სიღნაღის მაზრაში საერობო არჩევნები 15 სექტემბრისათვის არის დანიშნული. დუშეთის მაზრაში გაიგზავნა ინსტრუქტორები.

### ბაქოს ამბები.

◯ ბაქოში გერმანიის მისიის მიერ მიღებულ ცნობებით მდგომარეობა წინანდებურია. ბაქოს გარნიზონმა სცადა თავი დაეხწია მტრისაგან, მაგრამ არ მოუხდა. ოსმალები განაგრძობენ ძალების შეგროვებას.

### ხოლერა.

◯ ამ უკანასკნელ ხანებში სხვა და სხვა უწყებიდან ქალაქის საავადმყოფოში მიიყვანეს 13 ხოლერიანი და 7 ეჭვით ავადმყოფი. გამოეწერა 1. მოკვდა 3 და 1 საეჭვო. 31 აგვისტოს დარჩა 76 ხოლერიანი და 27 საეჭვო ავადმყოფი.

### სხვა და სხვა ამბები.

◯ ყარაიაზიდან იქ მობინადრე მერვე პოლკის ჯარის კაცებმა პოლკის უფროს თავაძეს დეპეშით აცნობეს: ხოლერა ვრცელდება. სისუფთავის დასაცველად ზომები არ არის მიღებული. მედიკური დახმარებაც არ არის. გთხოვთ დახმარებას.

◯ სახალხო განათლების სამანისტრო გადავიდა ახალ ბინაზე, გოლოვინის პროსპექტი № 23.

◯ გერმანიის საინფორმაციო ნაწილი გადავიდა სერგიევის ქ. № 9.

◯ პეტროგრადის ქართულ ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. ჩერქეზიშვილისაგან საქართველოს სამხედრო საბჭოს თავმჯდომარემ გენ. ოდიშელიძემ დეპეშით ცნობა მიიღო, რომ პეტროგრადში გამოცხადებულ მობილიზაციის თანახმად ჯარში გაჰყავთ 18—40 წლამდე ყველანიო, მათ შორის ქართველებიც. ნ. ჩერქეზიშვილი თხოულობს, რომ მთავრობამ საქართველოს ელჩის შემწეობით მოსთხოვოს სახალხო კომისართა მთავრობას განსაკუთრებული მატარებელი პეტროგრადში მყოფ ქართველების წამოსაყვანად.

◯ კავკავში გაემგზავრენ ავსტრიისა და გერმანიის წარმომადგენლები, რომლებიც აპირებენ ინგუშთა, ოსთა და თერგის ოლქის ყაზახთა წარმომადგენელთა ყრილობის მოსაწვევად.

## სამხედრო სამინისტროში.

სამხედრო მინისტრის განკარგულებით ებრძანა დივიზიათა უფროსებს, რომ ჯარებში ქართულ ენაზე კამანდას შეუდგნენ.

---

სამხედრო უწყების ყველა დაწესებულებას ებრძანა, ყველა შენობებზე, სადაც კი სამხედრო დაწესებულებებია მოთავსებული გამოაკრან ქართული წარწერები და ყველა დანარჩენი მოიხსნას.

---

პეტროგრადის ქართულ ნაციონალურ კომიტეტისაგან სამხედრო სამინისტრომ მიიღო

შემდეგი ცნობა: „პეტროგრადში გამოცხადდა (18—40 წ-დე) ოფიცერთა რეგისტრაცია და მობილიზაცია აღწერა. კოლონიის წევრთ, ოფიცრებს—ბუნებრივია, რომ—არ სურთ საბჭოთა სამსახურში შესვლა და სამშობლოსკენ იწევენ, მაგრამ არ შეუძლიათ წამოსვლა. საჭიროა საქართველოს ელჩის პირით მოითხოვოთ, აწ თუ მას „სოვნარკომი" არ იცნობს, საქართველოს მოკავშირე სახელმწიფოთა დიპლომატის პირით, რომ კომიტეტს მისცენ მატარებელი და დარჩენილ მეომართა სამშობლოში ევაკუაციისათვის. კომიტეტის დამოუკიდებლობა ნაბიჯმა, რადგან ის არ არის საქართველოს მთავრობის მიერ რწმუნებულობით აღჭურვილი, სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო. კერძო საზოგადოება ოფიცერთა გამოზავება—არმიაში მომდინ ტილეტის შემდეგ—მოუხერხებელია, თუ კი დიპლომატიური, ოფიციალური უფლებამოსილი გზით არ იქნება აღიარებული თავისუფალი მგზავრობის და უზრუნველყოფილი გარანტია.

გთხოვთ ყოველივე ამის პასუხი გვაცნობოთ".

## ჰიმნთა შეჯიბრება

ცკერას, პირველ სექტემბერს ქართულ კლუბის ზალში დიდის ამბით გამართულ იქნა ჰიმნის შეჯიბრება. ზალში ტევა აღარ იყო. ხალხი მოუთმენლად ელოდა ჰიმნთა შეჯიბრების დაწყებას. იყვნენ წარმომადგენლები მთავრობის, პარლამენტის, სხვა და სხვა ფრაქციების დაწესებულების, მხატვრობა-ხელოვნების, პრესის და სხვა. საგანგებოდ მოწვეულ მსაჯთა კომისია ესწრებოდა. კომპოზიტორ მ. ი. ბალანჩივაძის თავმჯდომარეობით. საგანგებოდ გამართულ ესტრადაზე გამოწყობილი იყო ქართველთა კავშირის გუნდი. ... ბ. ბ. სულხანიშვილის ლოტბარობით ფსევდონიმებით წარმოდგენილი ნაწარმოებნი „ვენ-თანაისისა", „კ. დ—სა", პალიტრასი, დ-ქესი, მ—ძისა, ეკლიდის, ფარნაოსის, იმედის, ნინოშვილის, ... ჰიმნი № 11 ... ბ. ბ. სულხანიშვილის ... ნომერი № 11 ... საზოგადოების ...

ხარ.-დან.

## საშუალო სასწავლებლის ნაციონალიზაციის შესახებ.

ჩვენმა გაზეთმა თავიდანვე აღნიშნა, რომ საშუალო სკოლების მასწავლებელთა კურსებს თბილისში მცირე მსმენელი დაესწრო და ეს გარემოება დიდ განცვიფრებას იწვევს მთავრობის წრეებშიო. არა მგონია ჩვენში მოიპოებოდეს ისეთი ქართველი მასწავლებელი, რომელიც კარგად არ გრძნობდეს სამშობლო ენაზე სწავლის მიღების აუცილებლობას და გულწრფელად არ სურდეს ეროვნული სკოლის აყვავება.

თუ მიუხედავათ ამისა თბილისის კურსებმა ვერ ჰპოვა შესაფერი გამოძახილი პროვინციის მასწავლებლებში და მსმენელების საკმაო რიცხვი ვერ შემოიკრიბა თავის გარშემო, ამას ჩემის აზრით თავისი მიზეზები აქვს, რომელთაც ანგარიში უნდა გავუწიოთ და ეს სამწუხარო მოვლენა მარტო მასწავლებლების გულგრილობით არ ავხსნათ.

საქმე იმაშია, რომ ერთობ ცუდ პირობებში ვიმყოფებით. საზოგადოების არც ერთ ნაწილს არ აწვება ისე მძიმეთ დღევანდელი სიძვირე, როგორც მოსამსახურე პირს. მისი გულის ყური ყოველ წუთში იქით არის მიქცეული, რომ როგორმე თავისი ცოლ-შვილი და დედმამა შიმშილის კლანჭებისაგან დაიხსნას და ორიოდე დღის არსებობის საშუალება მისცეს. არსებობის საკითხმა სრულიად დაიპყრო მცხოვრებთა უმეტესი ნაწილის ყურადღება და ამ მოვლენას ვერ ასცდა საშუალო სკოლის მასწავლებელიც. თუ ამას დავუმატებთ იმ გარემოებას, რომ მოსამსახურე პირი ჯამაგირს თავის დროზე იშვიათად ღებულობს, ცხადია, რომ მასწავლებელს ორი თვით თავისიანების მიტოვება და იმ თანხის შოვნა, რომელიც მას, მთავრობის დახმარების გარდა, კიდევ დასჭირდებოდა მგზავრობის და თბილისში ხანგრძლივი ყოფნის დროს სხვა და სხვა ხარჯების დასაფარავათ ძლიერ გაუძნელდა. ამგვარათ, ამ ფრიად სიმპატიურ საქმეს—კურსების მოწყობას და მისი საშუალებით საშუალო სკოლების მასწავლებლების მომზადებას წინ გადაეღობა ცხოვრების დღევანდელი უკუღმართი პირობები და მათ მოქმედებას ფრთა შეაკვეცა.

მეორე მხრით, რაც უნდა კარგ პირობებში ხდებოდეს კურსების გახსნა, მათ ყოველთვის ერთი ნაკლი აქვთ: კურსების გარეშე რჩება მასწავლებლების დიდი უმრავლესობა. მართლაც, შეუძლებელია საშუალო სკოლის ყველა მასწავლებელი დაიბაროთ თბილისში და აიძულო მათ ლექციების მოსმენა. ამიტომაც უნდა ვეცადოთ, რომ ეს ნაკლი თავიდან ავიცილოთ და კურსებზე წაკითხულ ლექციების გაცნობის საშუალება მივცეთ ყველა იმ მასწავლებელთ, რომელნიც კურსებს არ დასწრებიან. ეს კი შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ლექციები დაიბეჭდება და მათი შეძენა სავალდებულო იქნება თითოეული საშუალო სასწავლებლისათვის.

მაგრამ, შეცდომა იქნებოდა ჩვენი მხრით, რომ კურსებისთვის სკოლის ნაციონალიზაციის საკითხში გადამჭრელი ხასიათი მიგვეცა და გვეფიქრა, თითქოს მარტო მასწავლებლის მომზადებას შეეძლოს საშუალო სკოლის გაეროვნება. ერთ უმთავრეს ფაქტორათ, რომელიც ხელს შეუწყობდა საშუალო სასწავლებლის გაქართულებას, მე მიმაჩნია ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების შედგენა-გამოშვება და მათი მისაწვდომ ფასებში სასწავლებლებისათვის მიწოდება. არა მგონია, რომ ჩვენში იხეიროს უმაღლესმა ან რომელიმე საშუალო სასწავლებელმა, თუ შესაფერი სამეცნიერო წიგნები არ შევქენით და რიგიანი სახელმძღვანელოები არ გამოვუშვით. თუ დაბალ კლასებში კიდევ შეიჰრება მოხერხებული ახსნა-განმარტებით და რამოდენიმეჯერმე განმეორების საშუალებით მასწავლებელმა შკოლაში შეასწვლოს და შეათვისოს პატარა მოწაფეს სახლში დასამზადებელი გაკვეთილი და წიგნის მაგიერობა თვითონ გასწიოს, უმაღლეს კლასებში კი, სადაც სწავლებას უფრო ლექციური ხასიათი აქვს, შეუძლებელია მარტო გაკვეთილებზე გადაცემა იმ სამოსწავლო მასალის და ცნობების, რომელიც წლის განმავლობაში გასავლელია და მოზრდილი მოწაფის გასავითარებლათ საჭიროა. მეორე მხრით, არც ერთი ფხიზელი ჭკუის მქონე და ცნობის მოყვარე მოწაფე არ დაკმაყოფილდება გაკვეთილზე გაგონილით და იძულებული იქნება, თუ ქართული წიგნები არ დაგვირჩა, მუდამ რუსულ წიგნებთან ჰქონდეს საქმე,

ქართული სახელმძღვანელოები საჭიროა არა მარტო სკოლაში მოსიარულე ახალგაზდობისათვის, არამედ კიდევ მეტათ იმ პირთათვის, რომნიც სკოლის გარეშე დარჩენილან და ან თვით განვითარებას ეძებენ ან თავისი შრომით თვითონ ემზადებიან და სურვილი აქვთ რომელიმე სასწავლებელში მოწმობაზე ეგზამენი დაიჭირონ. სხვა და სხვა მიზეზების გამო ამათ დაუკარგავთ იმედი მომზადებულ მასწავლებლებს მოუსმინონ, იმათი ხელმძღვანელობით შესაფერი კურსი გაიარონ და იძულებული არიან მათთვის საჭირო ცოდნა პირდაპირ წიგნიდან შეიძინონ. სამშობლო ენაზე სამოსწავლო წიგნების უქონლობა ამათ თვითგანვითარების და თვითგანათლების საშუალებას წაართმევს და ეს გარემოება ისედაც მცირე რიცხოვან ქართველ ინტელიგენციის რაზმს მომავალში შეამცირებს.

მაგრამ, თუ ქართულ ენაზე მეცნიერულ წიგნების გამოშვება და სახელმძღვანელოების შედგენის აუცილებლობა ყველასათვის ცხადია, მეორე მხრით ამ საქმის სისრულეში მოყვანა ერთობ ძნელია. მხოლოთ სამი-ოთხი თვეა, რაც დამოუკიდებლობას ველირსეთ, მანამდის კი გარემოება ხელს არ გვიწყობდა საკუთარი უმაღლესი სასწავლებელი გვქონოდა და მეცნიერულად მომზადებულ პირთა ლაშქარი შეგვექნა, ამიტომ რაღა გასაკვირელია, თუ დღეს, მცირედი გამოკლებით, არა გვყავს ევროპიულათ მომზადებული მეცნიერები, რომელთაც ცხოვრების მოთხოვნილების მიხედვით მოკლე ხანში შეეძლოთ საკუთარი წიგნების შედგენა. ამიტომ დღეს დღეობით უკეთესია ორიგინალობა-შემოქმედებას ნაკლებ იმედს ვამყარებდეთ და მთელი ყურადღება უცხო ენებიდან საჭირო წიგნების გადმოთარგმნას მივაქციოთ. მით უფრო, რომ ჩვენში საკმაოთ მოიპოებიან ისეთი პირნი, რომელთაც ორი-სამი ევროპიული ენა იციან და წიგნების გადმოქართულებაში დიდი სამსახური შეუძლიათ გაგვიწიონ.

ამას გარდა არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ ახალი წიგნის გამოშვება დაკავშირებულია მრავალ დაბრკოლებებთან, რომელთა დაძლევა კერძო პირის ძალ-ღონეს და მოხერხებას აღემატება. მე სახეში მაქვს უმთავრესათ ქაღალდის სიმცირე და დღევანდელი საშინელი სიძვირე. ამ შემთხვევაში ეს საქმე თვითონ მთავრობამ უნდა იკისროს და შეადგინოს სპეციალური ფონდი ქაღალდების შესაძენათ და წიგნების გამოსაშვებათ, რომ აქედან კერძო პირთ მიაწოდოს საჭირო ქაღალდი და შესაფერი დახმარება. მხოლოთ ამ გზით შეგვიძლია გავაჩინოთ საკმაო რიცხვი სამოსწავლო წიგნებისა და მივაღწიოთ იმ მიზანს—საშუალო სკოლისგაეროვნებას, რომლისაკენაც დიდი ხანია ასე მოუთმენლად მივილტვით,

ი. ცქხლაძე.

---

## ფოსტის გარშემო.

ჩვენ ვიცით, თუ სახელმწიფოს ეკონომიურ და სამრეწველო ძალთა გაერთიანება აღორძინებაში რა დიდ როლს თამაშობს ამა თუ იმ სახელმწიფო დაწესებულების წესიერი მოქმედება. იგივე ითქმის ფოსტის შესახებაც.

სამწუხაროთ ჯერ-ჯერობით ჩვენი რესპუბლიკის ფოსტა ტელეგრაფის დაწესებულება ვერ მოწყობილა ისე, როგორც სასურველია.

წერილები და ამანათები ხშირად იკარგება და ამას უნდა მიექცეს ყურადღება. აგრეთვე დეპეშების გადაცემაც უნდა დაჩქარდეს, თუ რაიმე გარეშე დამაბრკოლებელი მიზეზები არ უშლის ამათ ხელს. გარდა ამისა ერთი ქალაქიდან მეორეში ფოსტით გაგზავნა და ფულის მიღება ხშირად სჭირს და გვიანდება.

საჭიროა ამას სათანადო ყურადღება მიექცეს.

ს. ყ.

## განცხადებები

ქ. თბილისის პირველ მომრიგებელი განყოფილების სასამართლოს ბოქაული აშყიყ ს. ა. კაგრამანოვი აცხადებს, რომ 9 სექტემბერს 1918 წ., დილის 10 საათზე, მის მიერ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ესტატე იოსების-ძე თარძან მოურავოვის მოძრავ ქონების გასასყიდად, რათა დაკმაყოფილებულ იქნეს მისი მოვალე მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი. გასასყიდია ერთი ხალი, დაფასებული 1,200 მან. ვაჭრობა მოხდება თარხან-მოურავოვის ბინაზედ—ორბელიანის ქუჩა, № 4.

---

თბილისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. 17 აგვისტოს დამტკიცებულია ნასყიდობის სიგელი, შედგენილი 1918 წლის 25 ივნისს, რომლითაც სიმონ ბეჟანისძე რუხაძის და სოლომონ ალექსისძე მიქაძის მამული ნასყიდი აქვთ 500 მან. ლავრენტი და კონსტანტინე სოფრომისძეთ კოპალეიშვილებს. მამული შეიცავს მიწის ნაჭერს ქ. სამტრედიაში ზომით 800 ოთხ. საჟ. მიღებულია სიმტკიცის გარდასახადათ 20 მან. და მთავარი ამონაწერი 2 მან. 50 კ. ღირებულების ღერბის ქაღალდზე მიცემულია ამა 1918 წ. 17 აგვისტოს,

---

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. 17 აგვ. დამტკიცებულია ნასყიდობის სიგელი შედგენილი 1918 წ. 25 ივნისს, რომლითაც სიმონ ბეჟანისძე რუხაძის და სოლომონ ალექსისძე მიქაძის მამული ნასყიდი აქვს 300 მან. ფილიპე მიქელის-ძეს რუსიას. მამული შეიცავს მიწის ნაჭერს ქ. სამტრედიაში ზომით 600 ოთხ. საჟენი, მიღებულია სიმტკიცის გადასახადათ 12 მან. და მთავარი ამონაწერი 1 მაა. 50 კ. ღირებულების ღერბის ქაღალდზე მიცემულია 1918 წ. 18 აგვისტოს.

---

ქ. თბილისის სასამართლოს მეორე განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ იბრაგიმ აჯი-მუსტაფა ოღლი ხალილოვის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება ხალილოვის ქონებაზე 1241 მუხ. ძალით დადგენილი ვადაში. 3—1

---

მართა ივანეს ასული დედერერი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ვექილობა, მიცემული ალექსანდრე ივანეს ძე კისლიაკოვზე № 999 ნოტარიუს კარაკაშელის მიერ სალიკვიდაციო ფულის მისაღებად.

---

ქუთაისის საოლქო სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. 16 აგვისტოს დამტკიცებულია ნასყიდობის სიგელი, შედგენილი 1918 წლის 25 ივლისს, რომელითაც სიმონ ბეჟანისძე რუხაძის და სოლომონ ალექსისძე მიქაძის მამული ნასყიდი აქვს 1000 მან. ირაკლი ათანასის-ძე რუსიას მამული შეიცავს მიწის ნაჭერს ქ. სამტრედიაში, ზომით 1300 ოთხ. საჟ. მიღებულია სიმტკიცის გადასახადათ 20 მან. და მთავარი ამონაწერი 5 მან. ღირებულიბის ღერბის ქაღალდზე მიცემულია ამა 1918 წ. 16 აგვ.

---

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. 16 აგვისტოს დამტკიცებულია ნასყიდობის სიგელი, შედგენილი 1918 წ. 25 ივნისს, რომლითაც სიმონ ბეჟანისძე რუხაძის და სოლომონ ალექსანდრეს-ძე მიქაძის მამული ნასყიდი აქვს 500 მ. გიორგი ალექსის-ძე სტურუას. მამული შეიცავს მიწის ნაჭერს ქ. სამტრედიაში ზომით 600 ოთხკ. საჟენს. მიღემულია სიმტკიცის გადასახადათ 20 მან. და მთავარი ამონაწერი 2 მან. ღირებულობის ღერბის ქაღალდზე მიცემულია 1918 წ. 16 აგვ.

---

დაკარგული საბუთები მე-15 რაზმისა 1040 მან. 72 კაპ. და ბერძნის ქვეშევრდომის პეტრე კარიდის პასპორტი № 223 ითვლებიან გაბათილებულად. 2—2

---

დაიკარგა შემდეგი საბუთები მიცვალებულის ექიმის მარიამ იავანეს ასულის კამინსკის სახელზედ:

ა) ბილეთი სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორის № 7018 6 ივნისს 1908 წ. 5400 მან., ბ) იმავე კანტორის მოწმობა შენახვისა მოსაგები ბილეთისა მეორე შინაური სესხისა № 07963/9; გ) შესანახავის წიგნი სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორის კასსის № 34171, დ) საანგარიშო წიგნაკი პროცენტიან ქაღალდებისა იმავე კანტორის კასსისა № 7901 სახელმწიფო 4% რენტის—4350 მან. და ჯარიანობის შინაგანი 5% სესხის 1915 წლ.—1600 მან. მემკვიდრე მარიამ ივანეს ასულის კამინსკის.

ეკატერინე ივანეს ასული გამყრელიძე 3—2

---

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲠᲘᲤᲢᲘ.
ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲐ ᲙᲔᲠᲫᲝ
ᲣᲬᲧᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
ყოველ გვარ საბეჭდ მანქანას უცვლი შრიფტს. დამზადებული მაქვს ლამაზი და გარკვეული ქართული შრიფტი საბეჭდ მანქანებისთვის.
ასოთა მჭრელი მ. ᲓᲣᲑᲔᲚᲘᲠᲘ.
„სევერნი ნომრების" ქვეშ.

---

# ᲡᲐᲡᲣᲠᲡᲐᲗᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ

იწვევს პირთ, რომელთაც შეუძლიან მოაწოდონ სამინისტროს რვაასი ათასი (800.000) ფუთი კრისტალური (მარცვლოვანი) მარილი. ამის შესახებ მსურველმა უნდა შეიტანოს წერილობითი განცხადება სასურსათო საქმის სამინისტროს კანცელარიაში, არა უგვიანეს ამა წლის 5 სექტემბრისა შუადღის 12 საათამდე. განცხადებაში უნდა იყოს აღნიშნული: 1. სახელი, მამის სახელი, გვარი და მისამართი მსურველისა. 2. მარილის ხარისხი და ადგილი მისი შესყიდვისა. 3. დრო, თუ როდის იქნება შეტანილი მარილი. 4. ფასი „ფრანკო ვაგონი" საქართველოს რკინის გზის. 5. პირობები ფულის გადახდის. აგრეთვე მიიღება განცხადებები ნაწილობრივ, არა ნაკლებ 100.000 ფუთი მარილის მიწოდების შესახებ. ცნობებს პირობების შესახებ იძლევა სამინისტროს კანცელარიაში მიმწოდებელი განყოფილების უფროსი ადანაია.

სასურსათო საქმის მინისტრი ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ.

მიმწოდებელი განყოფილების უფროსი ᲐᲓᲐᲜᲐᲘᲐ.

3—1

მთავრობის სტამბა.

რედაქტორი პ. დ. საყვარელიძე.